გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№75 (831) 5 - 7 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

„მარგველაშვილისა და ბურჯანაძის კანდიდატებად დასახელება წარსულის თამაშს ჰგავს“

„ივანიშვილის არ მესმის, რადგან ეს გადაწყვეტილება დემოკრატიისა და არჩევნების პრინციპების დარღვევაა“...

თამაშობს თუ არა ბიძინა ივანიშვილი შევარდნაძის თამაშს და რა კითხვები აქვს სალომე ზურაბიშვილს პრემიერთან

გვ. 3

„ტავ ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერის, მეთე ერქალის პასუხი „ვერსიას“

ექსკლუზივი

რა ახალი ხელშეკრულება გაუგზავნა გიორგი კვირიკაშვილმა თბილისის აეროპორტის თურქ მფლობელებს და როგორ განსაზღვრავს აეროპორტის მოსაკრებელს კომპანია?

გვ. 7

კოტე გაბაშვილი

„გავა დრო და ბევრი იგრძნობს, რას ნიშნავს ფსიქოლოგიურად პრემიერის მიერ „ჩა“ წინდებულის ასე ინტენსიურად გამოყენება!“

გვ. 4

მხოლოდ 40 თვითრი

„არ ვაპირებ, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ხელისუფლება ვმართო!“

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ჟურნალისტებთან

გვ. 5

აუდიტის სამსახურის განცხადების საფუძველზე ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდება?!

პროკურატურა დასაქმების სახელმწიფო პროგრამიდან 5 240 880 დარის მითვისების საქმეს გამოიძიებს

გვ. 6

SOS! ტრეფიკინგის შემდეგ, საქართველოში სექს-ტურიზმი ვითარდება!

გაიზიარებს თუ არა ჩვენი ქვეყანა ესტონეთი-უკრაინის ბედს და უმასპინძლებს თუ არა ათასობით უცხოელ პედოფილს

გვ. 8

„ქვეყნის აშენების“ ზურაბ შევარდნაძისეული რეცეპტი პოლიტიკოსებს

რატომ არ მიიჩნევს თავს იუმორისტად და როგორ მოახერხა დედამიწაზე „სამოთხის“ გაშენება „გარდენიას“ ავტორმა

გვ. 9

LB ლიბერთი ბანკი LIBERTY BANK

საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს ჩატარდება!

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნების 27 ოქტომბერს დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოსცა:

1. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები დაინიშნოს 2013 წლის 27 ოქტომბერს.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 1 ივლისის 01/07/11 განკარგულება.

თავდაპირველად, პრეზიდენტმა არჩევნები 27 ოქტომბერს დანიშნა, თუმცა იმავე დღეს თარიღი შეიცვალა და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების თარიღად 31 ოქტომბერი გამოცხადდა. გამომდინარე იქიდან, რომ 31 ოქტომბერი ხუთშაბათია, ქვეყნის პირველმა პირმა გადაწყვეტილება კვლავ შეცვალა და არჩევნები კვლავ 27 ოქტომბერს დაინიშნა.

„პირველი“

„საბოდიშო არაფერი ჩამიდენია“

„გიორგი მარგველაშვილის შტაბის პრეზენტაციას ერთ კვირაში გავმართავთ და საზოგადოებას კოალიციის კანდიდატის საარჩევნო პროგრამასაც გავაცნობთ. წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში შემოწირულობებს არც ერთი ორგანიზაციისა და იურიდიული პირისგან არ მივიღებთ. შემოწირულობას მხოლოდ რიგითი მოქალაქეებისგან მივიღებთ და დავხარჯავთ ზუსტად იმდენს, რამდენსაც მოსახლეობა შემოიტანს“, — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ 4 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე და დაადასტურა, რომ მარგველაშვილის საარჩევნო შტაბს უხელმძღვანელებს. საგანელიძემ ციხის სკანდალური კადრების ავტორის, ვლადიმერ ბედუკაძის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან სრულად გათავისუფლებაზეც ისაუბრა: **„მიმაჩნია, რომ ბედუკაძე სამართლებრივ პასუხისგებაში უნდა მიცემულიყო. თუმცა, საქართველოშიცაა საკანონმდებლო წესი, რომლის მიხედვითაც, სამართალდამცავი ორგანოებისათვის გარკვეული ინფორმაციის გადაცემის სანაცვლოდ, ბრალდებული სასჯელისგან თავისუფლდება. თუ მომავალში ბედუკაძის მონაწილეობით ახალი დანაშაულებები გამოიკვეთება, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას“.**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა „ვერსიის“ კითხვასაც უპასუხა:

— პრემიერმა განაცხადა, რომ 17 მაისის მოვლენების შესახებ თქვენ მიერ გაკეთებული განცხადებების გამო გისაყვედურათ. რა საუბარი შედგა თქვენსა და ბიძინა ივანიშვილს შორის?

— 17 მაისის საღამოს, აღელვებული ვიყავი. ქართველების დაპირისპირება ჩემთვის ყველაზე დიდ უბედურებასთან ასოცირდება. აღელვებულმა ვთქვი — ორგანიზაცია „იდენტობა“ სახლში უნდა წავიდეს-მეთქი! მეორე დღეს, მართლაც შევხვდი პრემიერს. მკითხა, არც ისე კარგი ტონით გისაუბრია 17 მაისის დაპირისპირებაზე, რაშია საქმეო? ავუხსენი, ავღელდი, ასე არ ვფიქრობ-მეთქი. მითხრა, კარგი იქნება, თუ საზოგადოებას ამას გააგებინებო. ამის შემდეგ, საჯაროდ განვაცხადე, ნებისმიერი ორიენტაციის ადამიანის უფლების დამცველი ვარ, ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, მაგრამ ადამიანი ჩემ პირად ცხოვრებაში არ უნდა შემოიჭრას და ჩემ ორ შვილზე გავლენა არ უნდა მოახდინოს-მეთქი. ამ განცხადების გამო, არ მიმაჩნია, რომ ბოდიში უნდა მოვიხადო. საბოდიშო არაფერი ჩამიდენია.

რუსუდან შელია

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები გამოიკვეთა!

მას შემდეგ, რაც დედაქალაქის საკრებულოს კიდევ ორმა წევრმა უმრავლესობის ფრაქცია დატოვა, ნაციონალურმა მოძრაობამ თბილისის საკრებულოში უმრავლესობის ყოლის პრეტენზიაც დაკარგა. ამჟამად საკრებულოში 22 ნაციონალი, 25 ოპოზიციონერი და დამოუკიდებელი დეპუტატია. 4 ივნისს საკრებულოში ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფის სხდომა შედგა, რომელსაც ესწრებოდნენ ზაზა გაბუნია, ჯაბა სამუშია, დავით ჯინჭარაძე, გიორგი ქველაძე, მაკა გვარამია, გულიკო ზუმბაზე, მერაბ რაფავა, გიორგი ტყემალაძე, ნიკო ხაჩირიშვილი.

ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნია არ გამორიცხავს, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის რიცხოვნობა გაიზარდოს: **„რაც შეეხება თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენებასა და ახალი კანდიდატურის არჩევას, ამაზე გადაწყვეტილებას ჯერ ვერ მივიღებთ. თავმჯდომარეობის კანდიდატები კი, უკვე გამოკვეთილია. ესენი არიან: ჯაბა სამუშია, ირაკლი შიხიაშვილი, გულიკო ზუმბაძე, გიორგი მუსხელიშვილი და გიორგი ტყემალაძე. გადაწყვეტილებას მივიღებთ ინტერფრაქციული ჯგუფის გაფართოებულ ფორმატში“.**

ზაზა გაბუნია ვერ აკონკრეტებს, ნამდვილად დააყენებენ თუ არა 26 ივლისის საკრებულოს სხდომაზე თავმჯდომარის გადაყენების საკითხს. მიუხედავად ამისა, მისი თქმით, **„ფაქტია, ნაცმოძრაობა იმსხვრევა. სხდომაზე რა პოზიცია გვექნება, დამოკიდებულია თვის განმავლობაში ჩატარებულ კონსულტაციებზე. გადაწყვეტილებას კანდიდატურასთან დაკავშირებით მივიღებთ ინტერფრაქციულ ჯგუფში, საკრებულოს ყოფილ უმცირესობასთან შეხვედრის შემდეგ“.**

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია მიიჩნევს, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის ფორმატში შეხვედრები უნდა დაიგეგმოს, რათა „საკრებულომ ნაცმოძრაობის უმრავლესობის დაშლის შემდგომ ნორმალური ფუნქციონირება გააგრძელოს. რაც შეეხება ჩემ კანდიდატურას, ეს ჩემი კოლეგებისა და კოალიციის პოლიტიკური საბჭოს გადასაწყვეტია. კოალიციის პოლიტიკური საბჭოს წევრები თუ საერთო კანდიდატზე შეჯერდნენ, ყველანი მას დავუჭერთ მხარს“.

გულიკო ზუმბაძე ადასტურებს, რომ ამჟამად საუბარია უმრავლესობის ფორმირებაზე: **„უახლოეს მომავალში მოვიწვევთ გაფართოებულ სხდომას, დავაფიქსირებთ უმრავლესობის შექმნას და შემდეგ შევარჩევთ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატებს“.**

ნინო ხარშილაძე

კინოგანვითარების ცენტრის ყოფილი დირექტორი „ქართული ფილმის“ ახალ ხელმძღვანელს უჩივის

ეკონომიკის სამინისტროს კინოგანვითარების ცენტრის ყოფილი დირექტორი მაია არეშიძე, „ქართულ ფილმში“ არსებული დაპირისპირებისა და პრობლემების შესახებ ავრცელებს ინფორმაციას. არეშიძე მიიჩნევს, რომ თანამდებობიდან უკანონოდ გაათავისუფლეს და „ქართული ფილმის“ ამჟამინდელ ხელმძღვანელს, გელა ენდრიუ სულის (სულიკაშვილი) სასამართლოში უჩივის: **„ამა წლის 10 მაისიდან ქართული კინოს განვითარების ცენტრს და სს „ქართულ ფილმს“ ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — 55 წლის, აშშ-ს მოქალაქე გელა ენდრიუ სული, რომელმაც ჯერ მე გამათავისუფლა თანამდებობიდან, შემდეგ კი მერაბ თავაძე. ჩემს გათავისუფლებასთან დაკავშირებით სასამართლოში საქმე 20 ივლისსაა ჩანიშნული. შემდგომ უკვე სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით ვიმოქმედებ“.** საქმესთან დაკავშირებით არეშიძეს გარკვეული

პრეტენზიები „ქართული ოცნების“ დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის მისამართითაც აქვს და მას ეკონომიკის სამინისტროზე ზემოქმედებაში ადანაშაულებს: **„მაშინ, როცა ქვეყანაში ამ დონის უმუშევრობაა, საქართველოს ორ მოქალაქეს, ერთი ამერიკის მოქალაქის ხარჯზე ატოვებინებენ სამსახურს. სამწუხაროდ, ამას უზრუნველყოფს დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი, რომელიც აქტიურად ერევა კინოს საქმეში. მაქვს ინფორმაცია, რომ იგი ზემოქმედებას ახდენდა ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილზე, რათა მას შეექმნა სამეთვალყურეო საბჭო ცხრა კონკრეტული ადამიანის შემადგენლობით, რათა საბჭოს დირექტორები შეეცვალა“.**

არეშიძე „ქართული ფილმის“ იმ 2868 აქციონერის შესახებაც საუბრობს, რომელთაც წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ წაართვეს წილები: **„მე 2868 აქციონერს წარმოვადგენ. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც წილობრივი ქონება ჰქონდათ „ქართულ ფილმში“ და აღმაშენებელზე მდებარე კინოსტუდიაში. ეს ქონება მათ შევარდნაძის მმართველობის დროს საჩუქრად გადაეცათ. წინა მთავრობამ კი ჩამოართვა და ეკონომიკის სამინისტროს გადასცა, რათა შემდგომ ადვილად გაესხვისებინა“.**

მაია არეშიძეს კონკრეტული მოთხოვნები აქვს ეკონომიკის მინისტრის, მისი მოადგილისა და პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ: **„მოვითხოვ: გიორგი კვირიკაშვილმა გამოასწოროს წინა მთავრობის დანაშაული და უზრუნველყოს 2868 აქციონერის უკანონოდ ჩამორთმეული წილის დაბრუნება; დავით უსუფაშვილმა მიაწოდოს სოსო ჯაჭვლიანს ინფორმაცია, რომ მას არ აქვს უფლება, ჩაერიოს და ზეწოლა მოახდინოს მინისტრებზე, მის მოადგილეებსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებზე; გადაიხედოს ქართული კინოს განვითარების ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შემადგენლობა, რადგან შეცდომაში შეიყვანეს კვირიკაშვილი და დიმიტრი ქუმსიაშვილი“.**

მაია არეშიძეს იმედი აქვს, რომ ახალი მთავრობა სამართლიანობას აღადგენს.

სოსო ჯაჭვლიანმა კი, არეშიძის ბრალდებები უარყო და მას „კანონის ენით ლაპარაკისკენ“ მოუწოდა.

ნათია ვასაძე

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო ნარკოტრეფიკის ფაქტი გამოავლინა



შინაგან საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო ნარკოტრეფიკის ფაქტი გამოავლინა. საქმე ეხება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებას.

სატვირთო ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად, რომელიც სხვადასხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით ჩატარდა, აღნიშნული ავტომანქანის ძარაზე დამონტაჟებულ სპეციალურ სამალავებში აღმოჩენილია განსაკუთრებით დიდი ოდენობით 500-გრამიან შეკვრებად დაფასოებული 232 ერთეული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, საერთო წონით 116 კგ.

კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ახალციხის ტერიტორიაზე დააკავეს თურქეთის და მოლდოვის რესპუბლიკების ორი მოქალაქე. დაკავებისას თურქეთის მოქალაქე „მერსედესის“ მარკის სატვირთო ავტომანქანას მოლდოვის რესპუბლიკის სახელმწიფო სანომრე ნიშნით მართავდა. მას თან ახლდა მოლდოვის მოქალაქე.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა მიმდინარე წლის 3 ივლისს გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის გავლით. თურქეთის მოქალაქემ საქართველოში საერთაშორისო გადაზიდვისათვის უკანონოდ შემოიტანა 116 კგ „ჰეროინი“, რომლის ღირებულებაც რამდენიმე ათეული მილიონი დოლარია.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით.

„მარგველაშვილისა და ბურჯანაძის კანდიდატებად დასახელება წარსულის თამაშს ჰგავს“

თამაშობს თუ არა ბიძინა ივანიშვილი შევარდნაძის თამაშს და რა კითხვები აქვს სალომე ზურაბიშვილს პრემიერთან

ეროსუდან შელია
557-100-768

პრეზიდენტის მიერ საპრეზიდენტო არჩევნების თარიღის დანიშვნამ საზოგადოებაში აჟიოტაჟი გამოიწვია. მეტიც, ექსპერტების ნაწილი სამართლებრივ დარღვევებზე ალაპარაკდა და მიხეილ სააკაშვილისგან არჩევნების თარიღის შეცვლაც მოითხოვა, რაზეც პრეზიდენტი, ყველასგან მოულოდნელად, დათანხმდა — საპრეზიდენტო არჩევნები 27 ოქტომბერს ჩატარდება. როგორ აფასებს საკუთარ შანსებს არჩევნებში და რატომ ფიქრობს, რომ ბიძინა ივანიშვილი ედუარდ შევარდნაძის თამაშს თამაშობს, „ვერსიას“ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ამჯერად საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი ესაუბრა:

— ნაცმოძრაობა ქართველი ემიგრანტებისთვის ხელოვნურ სირთულეებს ყოველთვის ქმნიდა, რათა მათ არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა არ ჰქონოდათ. სააკაშვილის თავდაპირველი გადაწყვეტილება, საპრეზიდენტო არჩევნები 31 ოქტომბერს, ხუთშაბათს ჩატარებულიყო, სწორედ იმას ემსახურებოდა, ემიგრანტებს სასურველი კანდიდატისთვის ხმის მიცემა გართულებოდათ. სააკაშვილმა იცის, რომ ხალხი მას აღარ ენდობა და ცდილობს მოქალაქეების დამცირებას. მეტიც, პრეზიდენტი მზად იყო, პირადი შურისძიების გამო, საარჩევნო კოდექსიც დაერღვია.

— სხვა პრობლემებიც იკვეთება — ახალ ხელისუფლებას ცესკო-ში ვითარების შესაცვლელად არაფერი გაუკეთებია. საარჩევნო სიებიც კვლავ გამოსასწორებულა. ამ ფონზე, არჩევნები კონკურენტულ გარემოში ჩატარდება?

— ჩემთვისაც გაუგებარია, ამ მიმართულებით ხელისუფლება რატომ პასიურობს. საარჩევნო სიები გაყალბებულია, თუმცა არავინ ზრუნავს მომავალი არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებაზე. არადა, უკვე იკვეთება ნიშნები, რომ მომავალ წელს, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებიც დაინიშნება. ხელისუფლებიდან ნაცმოძრაობის ლეგიტიმურად განდევნის ერთადერთი გზა არჩევნებია. ამას ვერ მოვახერხებთ, სანამ საარჩევნო ხარვეზები არ გამოსწორდება. სამწუხაროდ, ამის ნება ხელისუფლებას, ჯერჯერობით არ აქვს. არ ვიცი, რას ელოდებიან!

— საპრეზიდენტო მარათონში ოფიციალურად ჩაერთეთ, მაგრამ საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავარი ბრძოლა მარგველაშვილსა და ბურჯანაძეს შორის გაიმართება. თქვენი შანსები როგორია?

— მე კი მგონია, გიორგი მარგველაშვილისა და ნინო ბურჯანაძის საპრეზიდენტო კანდიდატებად დასახელება წარსულის თამაშს ჰგავს — ორივე შევარდნაძის მემკვიდრეა. დარწმუნებული ვარ, ამ თამაშს ამომრჩეველი საკადრის პასუხს გასცემს! მანამდე კი, ჯერჯერობით, იმ მესამე ადგილით ვარ კმაყოფილი, რომელიც ბოლო სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად დაფიქსირდა. საქართველოში უკვე სამი წელია არ ვიმყოფები. წინასაარჩევნო კამპანიაც ჯერ არ დამიწყია. არც პარტია მაქვს და ბუმბერაზ, განუსაზღვრელი ფინანსური შესაძლებლობებისა და ადმინისტრაციული რესურსების მქონე პარტიებს შორის მესამე ადგილი დავიკავე. ალბათ, მსოფლიო ისტორიაში პირველად ხდება, რომ კანდიდატი „ფეისბუქის“ საშუალებით აღწევს მსგავს შედეგს. ეს იმედისმომცემია და იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ხელისუფლების და ერთი პიროვნების მიერ დანიშნული ადამიანების დრო მთავრდება. თანაც, იგივე გამოკითხვის მიხედვით, ბურჯანაძემ ჩემზე ბევრად ნაკლები ხმა მიიღო!

— იმის თქმა გსურთ, რომ მარგველაშვილის რეალური კონკურენტი თქვენ ხართ და არა ბურჯანაძე?

— ბუნებრივია! თუ საქართველოში არჩევნები კიდევ ერთხელ ფულით არ გადაწყდება და პოლიტიკოსები ერთმანეთს ქვეყნის სიყვარულში შევეჯიბრებით, ამ მარათონში საკუთარ თავს არა მხოლოდ კანდიდატის, გამარჯვებულის პოზიციაში ვხედავ.

— დასავლეთი რა გავლენას მოახდენს წინასაარჩევნო პროცესზე? ნატო-ს წარმომადგენლებმა კოჰაბიტაციის აუცილებლობაზე კიდევ ერთხელ ისაუბრეს. ხელისუფლებას ამან ხელი ვერ შეუშალა, რასმუსენის სიტყვით გამოსვლის პარალელურად, მერიის თანამშრომლები დაეპატიმრებინათ...

— მისასალმებელია, როცა საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგშია, მაგრამ არ მესმის, რით ვერ დასრულდა კოჰაბიტაციის თემაზე საუბარი?! კოჰაბიტაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ ორ ძალას შორის, რომლებიც ხალხის ნდობითა და ლეგიტიმაციის ერთნაირი დონით სარგებლობენ. ნაცმოძრაობის 40% კი უზურპაციის შედეგია. თანაც კოჰაბიტაცია დამნაშავე ძალასთან შეუძლებელია. უცხოელებს უნდა გავაგებინოთ, რატომაა ნაცმოძრაობასთან კოჰაბიტაციაზე ლაპარაკი ისევე უაზრობა, როგორც თავის დროზე, ომის შემდეგ ნაცისტებთან თანამშრომლობაზე ქადაგება იქნებოდა. სამწუხაროდ, ეს ხელისუფლებას არ გამოსდის და საბოლოოდ, გაურკვეველი ვითარებაა — საზოგადოება კოჰაბიტაციას გმობს, ხელისუფლება კი მას ეგუება.

— ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, კოალიციის წევრებისგანაც ხშირად ისმის უკმაყოფილება. დავით ზურაბიშვილმა განაცხადა, თუ ამ ფორმით დაკავებების სერია გაგრძელდება, ნაცმოძრაობის გზას დავადგებითო.

— დავით ზურაბიშვილამდე ეს სალომე ზურაბიშვილმა თქვა! ნაცმოძრაობის ლიდერები დამნაშვეებიც რომ იყვნენ, მათ, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს, პატივი უნდა ვცეთ და უდანაშაულობის პრეზუმპციაც დავიცვათ. „ქართულ ოცნებას“ პირველივე დღიდან მხოლოდ იმიტომ ვუჭერ მხარს, რომ ნაცმოძრაობის მსგავსი ქმედებები ჩემთვის მიუღებელი იყო. ძალაუფლებამ ასე იცის: თუ ერთხელ გაგივა და საზოგადოება არაფერს იტყვის, აუცილებლად შეეჩვევი და მომავალშიც მშვიდად გააგრძელებ. თავის დროზე, სულხან მოლაშვილისა და სხვა პატიმრების წამებაზე გავჩუმდით, რადგან ისინი დამნაშავეები გვეგონა. ჩვენმა დუმილმა კი მომავალში უდანაშაულო ადამიანების ტერორი და განადგურება გამოიწვია. თუ კანონი ყველასთვის ერთი არ იქნება და დარღვევებზე თვალს დავხუჭავთ, ისევ სისასტიკის მანქანას მივიღებთ, რომელსაც ვეღარ გავაჩერებთ.

— ბიძინა ივანიშვილი საზოგადოებას პოლიტიკიდან მისი წასვლისთვის ამზადებს. მის განცხადებას — ყველაფერი წინასწარ გათვლილი მაქვს, როგორ აფასებთ?

— ბიძინა ივანიშვილის მართლაც არ მესმის, რადგან ეს გადაწყვეტილება დემოკრატიისა და არჩევნების პრინციპების პირდაპირი დარღვევაა. თუ ხალხმა პრემიერად აგირჩია (არჩევნებზე არავის მიუცია ხმა კოალიციაში შემავალი პარტიებისთვის), ვალდებული ხარ, თანამდებობაზე საზოგადოების მიერ მონიჭებული მანდატის განსაზღვრული ვადით დარჩე. თავის დროზე, სააკაშვილსა და მის კლანს იმის გამო ვებრძოდი, რომ პარლამენტისა ან პრეზიდენტის მანდატები მათი საკუთრება ეგონათ. მაინტერესებს, მას შემდეგ ქვეყანაში არაფერი შეცვლილა? თუ ივანიშვილი ოთხი წლით ავირჩიეთ, ამ ვადაზე ადრე პრემიერის თანამდებობიდან წასვლა ხალხის მანდატის უარყოფას ნიშნავს!

— საზოგადოებამ თავიდანვე იცოდა, რომ ივანიშვილი პოლიტიკიდან რამდენიმე წელიწადში წავიდოდა.

— ნებისმიერ შემთხვევაში, ეს გადაწყვეტილება, საზოგადოების ცნობიერების დამანგრეველი იქნება. მით უმეტეს, როცა საქართველოში ჯერ კიდევ არჩევნების კულტურას ვსწავლობთ. ყველაზე დიდ საფრთხეს ბიძინა ივანიშვილის შემცვლელში ვხედავ. ვინ შეცვლის მას? იმ პარტიების წევრები, რომლებიც ხალხს არ აურჩევია, მაგრამ პარლამენტში ივანიშვილის გადაწყვეტილებით მოხვდნენ, თუ პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც აცხადებს პლასტილინი ვარო და მომავალში „ფორმას“ ვინ მისცემს, გაურკვეველია? სააკაშვილის პოლიტიკიდან გაძევების გარდა, ქვეყანაში არც ერთი დანაპირები არ შესრულებულა. მეტიც, ამ მიმართულებით რეალური სამუშაოები არც კი დაწყებულა. სხვათა შორის, პირველად მე გავაჟღერე და ივანიშვილსაც პირადად ვუთხარი, თუ პოლიტიკიდან წახვალ, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები აუცილებლად უნდა დანიშნო-მეთქი.

— პრემიერმა განაცხადა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის მომხრე არაა.

— სამწუხაროა, რომ ასე ფიქრობს. მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაც კი არაა საკმარისი, ქვეყანაში არსებული კრიზისის თავიდან ასაცილებლად. რეალურად, ქვეყანა ახალი ხელისუფლებისთვის მზად არ არის. არც პარტიები არიან მზად არჩევნებისთვის და ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ასაღებად. თუ ნაციონალები კანონის წინაშე არ გასამართლდებიან, პარლამენტში ისევ ნაციონალებს მივიღებთ. არაერთი საფრთხე იკვეთება. ვერ გეტყვით, რამდენად აქვს ეს გაცნობიერებული მმართველ გუნდს. თუ რისკები გაცნობიერებული აქვთ, საზოგადოებას რატომ ეთამაშებიან? ვსვამ კითხვას, ბიძინა ივანიშვილი შევარდნაძისეულ ნაბიჯს დგამს, რათა ხალხი შეეხვეწოს, დარჩიო? იმედი მაქვს, ასე არაა და ივანიშვილი ქვეყანას სხვაგვარად უყურებს. იმის იმედიც მაქვს, რომ ქართველ ხალხზე მცდარი წარმოდგენა არ აქვს და მოქალაქეებს მათხოვრად არ აქცევს!

წლინახევრის განმავლობაში უგულავას სარეზერვო ფონდიდან 4 734 342 ლარია ათვისებული

IDFI-ს ინფორმაციით, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 15 აპრილამდე, თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან 4 734 342 ლარია ათვისებული.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ IDFI-იმ ქალაქ თბილისის მერიიდან თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გადარიცხული თანხების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო: „როგორც ირკვევა, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 15 აპრილამდე თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან ათვისებულია 4 734 342 ლარი. აღნიშნული თანხიდან, თბილისის მერის მიერ გამოცემული განკარგულებებით, 96 720 ლარით დაფარულია 2011 წელს სხვადასხვა მოქალაქეებისთვის ფინანსურ დახმარებებზე დარჩენილი ვალდებულებები. დანარჩენი თანხის (4 637 622 ლარი), რომელიც უშუალოდ, 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 15 აპრილამდე, პერიოდში დაიხარჯა, უდიდესი ნაწილი 85% (3 927 945 ლარი) გახარჯულია 2012 წლის ოქტომბრამდე. განსაკუთრებით გამორჩეულია 2012 წლის აგვისტო, რომლის განმავლობაშიც სარეზერვო ფონდიდან გადარიცხულმა თანხებმა 1 395 338 ლარი შეადგინა. აგვისტოში გადარიცხული თანხების სიდიდე, ძირითადად, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად გამოყოფილმა 984 706 ლარმა განაპირობა. ჯამში, 1517 განკარგულებით, სულ დაახლოებით, 1600 პირი დაფინანსდა. თითოეულ ადამიანზე გამოყოფილი თანხა განსხვავებულია მოცულობით. მაგალითად, მკურნალობასთან დაკავშირებით, გვხვდება როგორც მცირე ფინანსური დახმარება, ასევე მსხვილი ტრანშები (ერთ-ერთ მოქალაქეს გერმანიაში მკურნალობისათვის ორ ეტაპად გამოეყო 193 957 ლარი). აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდგომ თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითად, 2013 წლის თებერვალში თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხულია მხოლოდ 3 600 ლარი. საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ყველაზე დიდი თანხა (387 160 ლარი) ათვისებულია 2013 წლის მარტში, რომლის უდიდესი ნაწილი — 375 560 ლარი, ავეჯის სავაჭრო ცენტრ „საბას“ ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზარალებული მეწარმეების ფინანსურ დახმარებას მოხმარდა.

2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 15 აპრილამდე, გამოცემულია თბილისის მერის, დაახლოებით, 1500 განკარგულება მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად ფინანსურ დახმარებაზე თანხის გამოყოფის შესახებ. ამ პერიოდში მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 4 637 622 ლარიდან, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაცია საშუალებას გვაძლევს, 4 080 205 ლარზე გამოვარკვიოთ თუ რა მიზნისთვის გადაეცა კონკრეტულ პირს ფინანსური დახმარება, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური დახმარების დანიშნულება მითითებული არ არის. თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებისათვის გადარიცხული თანხების დანიშნულება ასეთია: მკურნალობა, გამოკვლევა და მშობიარობა – 2 513 886 ლარი; სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულები – 985 726 ლარი; სწავლის საფასურის ანაზღაურება – 58 980 ლარი; დაკრძალვის ხარჯები – 80 845 ლარი; ხანძრის შედეგად დაზარალებულები – 375 560; სხვა — 65 208 ლარი. ფინანსური დახმარების მიზეზი მითითებული არ არის — 555 202 ლარი.

თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებს გაეწიათ სხვადასხვა სიდიდის ფინასური დახმარება მკურნალობისათვის, გამოკვლევებისათვის, მედიკამენტების შესასყიდად, მშობიარობისათვის და სხვა სამედიცინო საჭიროებებისათვის. მოქალაქეების დაფინანსება ხორციელდებოდა, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის კლინიკებში მკურნალობისათვის“.

„პირველი“

ეგვიპტეში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს პრობლემები არ შექმნიათ

საქართველოს საელჩო ეგვიპტეში, ქვეყანაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან მუდმივ კავშირში იმყოფება. ეგვიპტეში საქართველოს ელჩის, არჩილ ძულიაშვილის განცხადებით, ბოლო დღეებში ეგვიპტეში საკმაოდ დაძაბული ვითარება იყო, მოხდა შეტაკებები დემონსტრანტებს შორის, რის შედეგადაც არიან დაღუპულები და დაშავდა ასობით ადამიანი.

ელჩის განცხადებით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქალაქეებს ურჩია, თავი შეიკავონ ეგვიპტეში გამგზავრებისგან. მათ კი, ვინც უკვე იმყოფება ეგვიპტის კურორტებზე, მოუწოდეს, თავი შეიკავონ ეგვიპტეში გადაადგილებისგან. **„ეს გაფრთხილება ძალაში რჩება, რადგან უსაფრთხოების სისტემა ქვეყანაში ჯერ ბოლომდე არ არის აღდგენილი. ველოდებით მოვლენების განვითარებას და ისევ მოვუწოდებთ საქართველოს მოქალაქეებს, თავი შეიკავონ ეგვიპტეში მოგზაურობისაგან“,** — აცხადებს ელჩი.

არჩილ ძულიაშვილის განცხადებით, საელჩო მუდმივ კავშირზეა ეგვიპტეში უკვე მყოფ საქართველოს მოქალაქეებთან და მათგან რაიმე პრობლემატურ საკითხზე ზარი საელჩოში, ან ცხელ ხაზზე აქამდე არ განხორციელებულა.

ეგვიპტეში არეულობა რამდენიმე დღეა გრძელდება. გადაყენებული პრეზიდენტი მუჰამედ მურსი დაკავებულია. ადგილობრივი მედიის ცნობით, არმია ამ ფაქტს უკვე ადასტურებს. დაკავებამდე მურსი თავდაცვის სამინისტროს შენობაში ჰყავდათ გადაყვანილი. ეგვიპტის არმიამ პრეზიდენტი მუჰამედ მურსი თანამდებობიდან 4 ივლისს გადააყენა, კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა და პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ადლი მანსურს დააკისრა. პოლიციამ ასევე დააკავა „მუსლიმთა საძმოს“ ლიდერი მუჰამედ ბადია და ეგვიპტის ყოფილი პრემიერ-მინისტრი. მუჰამედ მურსის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციები ეგვიპტეში 30 ივნისს დაიწყო და მალე მასობრივ შეტაკებებში გადაიზარდა. მოსახლეობა მურსის მიერ წინასაარჩევნოდ გაცემული დაპირებების შეუსრულებლობის გამო უკმაყოფილოა. ოპოზიცია კი პრეზიდენტს და „მუსლიმთა საძმოს“ ხელისუფლების მონოპოლიზებაში ადანაშაულებს. გავრცელებული ინფორმაციით, შეტაკებებს 32 ადამიანი ემსხვერპლა.

„ინტერპრესნიუსი“

სომხეთში, ქართულ ტაძარში ფრესკების რესტავრაციას იტალიელები ატარებენ

სომხეთში, ისტორიულად ქართულ ქობერის ტაძარში, ფრესკებს რესტავრაციას სამი იტალიელი რესტავრატორი ქალი უტარებს. ისტორიკოსი მთვარისა თარხნიშვილი ქობერში ტურისტულ ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა და ისტორიული ლორედან ახლახან დაბრუნდა. მისი ინფორმაციით, ქობერის წმინდა გიორგის სახელობის მე-11 საუკუნის ტაძრის მონახულებისას საკურთხეველში არსებული ფრესკების რესტავრაციაზე მხოლოდ სამი იტალიელი ქალბატონი დახვდა: **„მათ საკურთხეველში ფრესკების რესტავრაცია ახალი დაწყებული ჰქონდათ. გვითხრეს, რომ ერევნის უნივერსიტეტის მიწვევით მუშაობდნენ. მათ იციან, რომ ის ქართული ტაძარია“.**

ქობერის კომპლექსი რამდენიმე პატარა ტაძრისგან შედგება. იქ არსებულ სამრეკლოზე რესტავრაციას რამდენიმე წელია, სომხური მხარე ახორციელებს. თარხნიშვილი ამბობს, რომ სამრეკლოზე განხორციელებული სომხური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტები შენიშნა.

„ინტერპრესნიუსი“

კოტე გაბაშვილი: „გავა დრო და ბევრი იგრძნობს, რას ნიშნავს ფსიქოლოგიურად პრემიერის მიერ „ჩა“ წინდებულის ასე ინტენსიურად გამოყენება!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რატომ ვცეკვავთ რუსეთისთვის პოლიტიკურ ბალეტს, რა სექსუალური დაავადება სჭირს ქართველ ერს და რას ნიშნავს პრემიერის საყვარელი წინდებული „ჩა“ — „ვერსიის“ რესპოდენტი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში, ექსდეპუტატი კოტე გაბაშვილია, რომელიც საინტერესო პოლიტიკურ ანალიზთან ერთად, ორიგინალურ შეფასებებს აკეთებს.

— ირანთან ცალმხრივ სავიზო რეჟიმზე გადასვლის დადებით მხარეებს მაინცდამაინც ვერ ვხედავ. ვფიქრობ, უვიზო რეჟიმის შენარჩუნება სწორი იქნებოდა. გაგიკვირდებათ, მაგრამ ეს არა იმდენად ამერიკელების ინტერესშია, რამდენადაც რუსეთის. ჩვენი კარგი ურთიერთობა ირანთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და თურქეთთან რუსეთისთვის გამაღიზიანებელია. რაც შეეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა ტვირთების, თანხების მოძრაობის საფრთხეები ირანიდან, ეს წინა ხელისუფლების მიერ ძალიან მკაცრად კონტროლდებოდა, ამიტომ პირდაპირ ვთქვათ — თუ ახლანდელ მთავრობას ამის თავი არ აქვს, ყველაფერი გასაგებია! ეს ან გაუთვლელი პოლიტიკური ნაბიჯია, ან კარგად დაგეგმილი იზოლაცია, რაც სხვას არაფერს ურტყამს, თუ არა ჩვენს საინვესტიციო კლიმატს. ჯერჯერობით, არც ის ვიცით, რა ურთიერთობაა რეალურად ჩვენსა და რუსეთს შორის.

— მაინც რა არ ვიცით — ტონი ორივე მხრიდან შერბილებულია, რუსეთი თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს...

— ერთმანეთში რაღაცებს ლაპარაკობენ კარასინი და აბაშიძე, ვითომ სავიზო რეჟიმის შემსუბუქებაზე...

> **ახლა ნინო ბურჯანაძეს მისდევს მთელი ჩვენი წამყვანი პოლიტიკური ბომონდი და სიტყვა „ოკუპაციის“ თქმა ერიდებათ. ეს მაშინ, როცა რუსეთი მავთულხლართებს გვიკეთებს და ტანკებით შემოდის ჩვენს გადასათელად. ამ დროს ჩვენ პოლიტიკურ ბალეტს ვცეკვავთ და გვგონია, რაც უფრო კარგ ილეთს გავაკეთებთ, რუსეთს მით მეტად გაუხარდება.**

— ირონია იქეთ იყოს, განახლდა საუბრები ქართულ-აფხაზური რკინიგზის აღდგენის თემაზეც, რაშიც რუსეთიც აუცილებლად ჩაერთვება. რა სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ამ რკინიგზას და შეიცავს თუ არა ეს პროექტი საფრთხეებს ჩვენი ქვეყნისთვის?

— რკინიგზის აღდგენის თემა საერთოდ კატასტროფაა. ამ იდეის ერთადერთი აზრი სომხეთში არსებული რუსული ბაზების სარკინიგზო გზით მომარაგებაა, რაც ყველაზე სწრაფი და იაფი გზაა რუსეთისთვის. ესაა მისი ძირითადი ამოცანა, რადგან საჰაერო გზა ყველა ვითარებაში საუკეთესო არაა. სომხეთში არსებულ ბაზებზე, რუსეთს 25-წლიანი გარანტია აქვს აღებული. ამ რკინიგზით კი იგი მომარაგების პრობლემას აიცილებს თავიდან, მაგალითად, თუ წინააზიაში რაიმე კონფლიქტი განვითარდა და საჰაერო გზა დაიტვირთა. გარდა ამისა, რუსეთს ნაკლები რისკს-ფაქტორი აქვს, რომ ამ სარკინიგზო გზაზე ვინმე შეამოწმებს.

— რატომ გგონიათ, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთიდან შემოსულ ტვირთებს არ შეამოწმებს?

— თქვენ რატომ გგონიათ, ხელისუფლება ამ ტვირთებს გზას თუ გაუხსნის, მერე დალუქული ვაგონების შემოწმებას დაიწყებს?! ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია! თუმცა საქმე კიდევ უფრო უარეს ტენდენციასთან გვაქვს. ახლა, სან-მარინოში აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრია ჩასული და მოლაპარაკებებს აწარმოებს, რუსეთი კი უამრავ ფულს ყრის ასეთ პატარა ქვეყნებთან საერთო ენის გამოსანახად.

— საერთო ენა ოკუპირებული ტერიტორიების აღიარების პოლიტიკის გაგრძელებაში უნდა გამონახოს?

— რა თქმა უნდა! იტალიაში ელჩი 4 წელზე მეტ ხანს ვიყავი და ყველა ასეთ მცდელობას სასტიკად ვებრძოდით. ახლა წამოვედი და გვყავს ახალი ელჩი, რომელსაც, ბუნებრივია, გამოცდილება არ აქვს. საგარეო საქმეთა სამინისტროში დაავალეს, ჩასვლისთანავე, სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა ჩემი მოადგილე, რომელიც აპოლიტიკური და გამოცდილი კადრია. ეს კაცი ჩვეულებრივი დიპლომატია და მას არავითარი კავშირი პარტიასთან არ ჰქონია.

— ზოგადად, ელჩების თემა პრობლემაა ძველ და ახალ ხელისუფლებას შორის — ვიღებთ კანონებს ელჩების დამტკიცების ვადებზე, პრეზიდენტი ჯიუტობს და ახალ ელჩებს არ ამტკიცებს. არადა, ახალი მთავრობის პირობებში, ეს სრულიად ნორმალური პროცესია.

— არის დიდი ქვეყნები, მაგალითად, აშშ, როცა ახალი ხელისუფლება ელჩებს ცვლის, მაგრამ ქვეყანათა უმეტესობაში, როგორც წესი, ელჩი არ იცვლება. ჩვენ პროვინციული ქვეყანა ვართ და ახალმოსულ ხელისუფლებას, რომლის ძირითადი ემოცია განაწყენება, ბოღმა და ანგარიშსწორებაა, საელჩოებში თავისი ხალხის დანიშვნა საქმის კეთება ჰგონია. ელჩი კიო ხომ არ არის, „ფოკუზი“ გააკეთოს — გამოვიდეს და შავი შლაპიდან თეთრი კურდღელი ამოაძვრინოს?! ყველას სჭირდება გარკვეული პერიოდი და გამოცდილი თანამშრომლები ეფექტური მუშაობისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხადია, აღიარების პოლიტიკა გაგრძელდება. აქამდე ერთი გამოსავალი გვქონდა: მკაცრი და მკვეთრი პოლიტიკის წარმოება რუსეთთან, რაც სწორი გახლდათ, ახლა კი ესეც შეიცვალა.

— წინა მთავრობა რომ ასეთ პოლიტიკას ატარებდა, რა მოვიგეთ?

— და რა მოგვიტანა ამ პოლიტიკის უარყოფამ: საზღვრის გადმოწევა 60 მეტრით, მავთულხლართების გაბმა, ვიდეოთვალთვალი, კაგებე-ს ჯარების გააქტიურება აფხაზეთში, ახალი პასპორტები?! თუმცა ჩვენთვის ყველაფერი ცხადი გახდა, როცა ივანიშვილი, ამ ხელისუფლების მთავარი პირი ამბობს, რომ ალბათ, ეს პოლიტიკა კრემლიდან არ მოდისო! გამიხადა აქ კრემლი ანგელოზების საკრებულო, საიდანაც, თურმე, არ შეიძლება მავთულხლართების გაბმის ბრძანება მოდიოდეს და ეს ვიღაც დეგენერატმა ეფრეიტორმა ბრძანა. ვისაც ამის სჯერა, თავს ისულელებს!

— ნინო ბურჯანაძე უკვე ახსენეთ, რომელსაც ქართული პოლიტიკის ბომონდი მისდევს. სხვა კანდიდატებიც შევაფასოთ, მაგალითად, „ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილი, ნაციონალებიდან, სავარაუდოდ, დავით ბაქრაძე, სალომე ზურაბიშვილი...

> **— სალომე ზურაბიშვილის არ მჯერა და ამას მასთან მუშაობის გამოცდილება მათქმევინებს! მას საპრეზიდენტო კი არა, ეზოს ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევნებზეც არ მივცემდი ხმას. ნინო ბურჯანაძის მიმდევარ პოლიტიკურ ბომონდს სხვა კანდიდატი ჰყავს — გიორგი მარგველაშვილი. პრინციპში, ახალ პრეზიდენტს ძველებური გავლენა არ აქვს, ამიტომ საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოსთვის დემოკრატიის ტესტის ფუნქციას უფრო შეასრულებს, თუმცა მოვლენები არცთუ დემოკრატიულად ვითარდება — ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტ ადამიანს დაიჭერენ, რადგან ნაციონალების მოსპობა მათი ერთ-ერთი რეალური საარჩევნო ლოზუნგია. რაც შეეხება მარგველაშვილს, ის ძალიან სერიოზული კანდიდატია.**

ბოლოს და ბოლოს, მმართველ გუნდს წარმოადგენს, მინისტრია და წინასაარჩევნოდ ორი კარგი ნაბიჯი გადადგა — მასწავლებლებისთვის ჯამაგირის მომატება და წიგნების უფასოდ დარიგება. დავით ბაქრაძეს ნინო ბურჯანაძეზე მაღალი რეიტინგი რომ ექნება, ამაში ეჭვი არ მეპარება და, პრინციპში, ნაციონალების კანდიდატი მეც დავით ბაქრაძე მგონია.

— ამასობაში, პრემიერი ივანიშვილი თავის ბოლო პრესკონფერენციაზე „ნაციონალებს „დაშლა-ჩაშლას“ გიწინასწარმეტყველებთ.

— ჩემი ძირითადი პროფესია ენათმეცნიერებაა და ამ კითხვაზე, როგორც ენათმეცნიერი, ისე გიპასუხებთ.

> **საინტერესოა, პრემიერის მიერ „ჩა“ წინდებულის ასე ინტენსიურად გამოყენება! ფსიქოლოგიურად, ეს ალბათ, ზევიდან ქვევით ჩასვლა, ჩავარდნა, რაღაც ხიფათის მოლოდინია. არის მეორე ვერსიაც — როცა გინდა, ვიღაც ჩაფლა, ჩამარხო, ჩაიტანო. როცა რაღაც აკვიატებული შინაგანი იდეა გაქვს, მერე ეს გრამატიკაშიც გამოიხატებაო ხოლმე. მოკლედ, ყველაფერი ერთი სიტყვით რომ ვთქვა, ეს შიშია ძალის მიმართ, რომლის მოსპობაც გინდა.**

დასასრული მე-6 გვერდზე

„არ ვაპირებ, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ხელისუფლება ვმართო!“

ირუსუდან შელია
557-100-768

„60 ახალი საწარმოს მშენებლობა განხილვის პროცესშია — თითოეულ საარჩევნო რეგიონში ერთი საწარმო მაინც უნდა აშენდეს. სამწუხაროდ, რამდენიმე რაიონზე ვერ ჩამოვყალიბდით, რადგან ჩვენამდე წინადადებები ჯერ არ მოსულა, მაგრამ ამ მიმართულებით ბიზნესმენებთან უკვე ვმუშაობთ და წლის ბოლომდე 60-ზე მეტ საწარმოს მშენებლობას დავაფინანსებთ. აღსანიშნავია, რომ ტურისტების რაოდენობა 31%-ით გაიზარდა, მათ შორის რუსი სტუმრები ჭარბობენ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ შაჰდენიზის გაზის მილის მშენებლობაა დაგეგმილი. შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე დამატებით 2 მილიარდის ინვესტირება მოხდება“, — ამ განცხადებით დაიწყო პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 3 ივლისს, მედიის წარმომადგენლებთან ტრადიციული შეხვედრა და მოგვიანებით, ჟურნალისტების კითხვებსაც უპასუხა.

ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ჟურნალისტებთან

— გასული წლის მაისში პაატა ბურჭულაძეს შეხვდით. მაშინ განაცხადეთ, რომ მომღერალმა აპოლიტიკურ ფიგურად დარჩენა გადაწყვიტა. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ სწორედ პაატა ბურჭულაძე ჯონდი ბაღათურიამ და კახა კუკავამ საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენაზე თითქმის დაითანხმეს. არ ფიქრობთ, რომ ის გიორგი მარგველაშვილს საარჩევნო ხმებს წაართმევს?

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს და გიორგი მარგველაშვილს საარჩევნო ხმები ნებისმიერმა კანდიდატმა წაართვას. კარგი იქნება, თუ ბატონი პაატა ამ შეთავაზებას დათანხმდება, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ მარგველაშვილის კანდიდატურა სხვა დანარჩენებზე გაცილებით მნიშვნელოვანია. მას მოჭარბებულად აქვს ყველა ის თვისება, რაც საქართველოს მომავალ პრეზიდენტს სჭირდება, თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი საზოგადოების გადასაწყვეტია. ჩემი აზრით, საზოგადოება კოალიციის კანდიდატს პირველივე ტურში აირჩევს. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის შეცვლას, ეს გამორიცხულია. არ არსებობს მიზეზი, მასზე უარი ვთქვა, პირიქით, ბედნიერი ვარ, რომ მარგველაშვილს ვიცნობ!

— როცა საუბრობთ, რომ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წახვალთ, მთავრობაზე გავლენას პოსტიდან წასვლის შემდეგაც შეინარჩუნებთ თუ ოთხი წლის შემდეგ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე პასუხისმგებლობას არ აიღებთ?

— ქვეყნიდან წასვლას არ ვაპირებ. პირიქით, გადავალ იქ, სადაც ქვეყანას უფრო ვჭირდები. არჩევნებამდე გაჟღერებულ დაპირებებზე კი პასუხისმგებლობას ბოლომდე ვიღებ. თანაც პირიქით, ჩვენ დროზე ადრე და გადაჭარბებით ვასრულებთ ყველაფერს. მიმაჩნია, რომ სამოქალაქო სექტორში და ეკონომიკაში ბევრად საინტერესო ვიქნები. ასე რომ, კარგი იქნება, თუ ამ თემით სპეკულაციები დასრულდება. არავის ქონდეს ილუზია, რომ დალაგებისკენ წასულ პროცესებს ვინმეს ასარევად დავუტოვებ. პირიქით, ვფიქრობ, 20 წელი კიდევ შემწევს ენერგია, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო ვიყო. თუ, რა თქმა უნდა, მოსახლეობა არ მიმანიშნებს, რომ ასაკში ვარ. პოლიტიკიდან წასვლამდე კი ყველა შეკითხვას ამომწურავ პასუხს გავცემ. რაც შეეხება მთავრობაზე გავლენის შენარჩუნებას, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ხელისუფლების მმართველი არავითარ შემთხვევაში არ ვიქნები.

— ჩვენ ინსტიტუციურად დაუბალანსებელი და განუსაზღვრელი უფლებების მქონე პრემიერი გვყავს. კოალიციაშიც ეკლექტური პარტიები ერთიანდებიან. ამ რისკების საპირწონე კი, ჯერჯერობით, თქვენი პოლიტიკური ფიგურაა. რა მექანიზმებით აპირებთ შექმნილი ვითარების დარეგულირებას?

— ის ფაქტი, რომ ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრემიერს პრეზიდენტზე მეტი უფლებები აქვს, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საოკაშვილი პრემიერის პოსტს სათავისოდ იმზადებდა. ჩემი სურვილია, მთავრობამ თავად აკონტროლოს საკუთარი ქმედებები, რისთვისაც კონტროლის პალატის ინსტიტუტის გაძლიერებას ვგეგმავ. სწორედ დამოუკიდებელ კონტროლის პალატას ექნება მთავრობის მართვაში გადამწყვეტი როლი. რა თქმა უნდა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გარდამავალ ეტაპზე, ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა დემოკრატია მყიფეა, პიროვნებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გარწმუნებთ, განუსაზღვრელი ძალაუფლება არც ერთ მაღალჩინოსანს არ ექნება.

— დაახლოებით ერთი თვის წინ, პარლამენტში საკმაოდ მწვავე დებატები გაიმართა პრემიერის მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ. აღნიშნულ კანონპროექტს, უმცირესობასთან ერთად, უმრავლესობის წევრებმაც არ დაუჭირეს მხარი. თქვენი აზრით, უნდა ნიშნავდეს თუ არა პრემიერი უნივერსიტეტის რექტორს?

— კანონპროექტში საუბარი იყო რექტორის დროებით დანიშვნაზე, რაც მიმაჩნია, რომ ნორმალური გადაწყვეტილებაა. როგორც ჩანს, კანონპროექტი გუნდის წევრებსაც არ წაუკითხავთ, ისე გადაწყვიტეს თავის გამოჩენა. მიუხედავად ყველაფრისა, მოწინააღმდეგეებს ანგარიში გავუწიეთ და, შესაძლოა, კანონპროექტიდან აღნიშნული პუნქტი ამოვიღოთ კიდეც. მისასალმებელია, რომ წინააღმდეგობებს კოალიციის წევრებისგანაც ვაწყდებით და მხოლოდ გუნდურობა, გადამწყვეტი ფაქტორი არ არის. ეს სწორედ დემოკრატიის ნიშანია!

— რაც შეეხება სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღმოჩენილ დარღვევებს. იურისტები ამბობენ, რომ საქმეში სამართლებრივად თეთრი ლაქები იკვეთება. თუ ხართ საქმის კურსში, ამ მიმართულებით პროცესი რა ეტაპზეა?

— ვაღიარებ, საკმაოდ მტკივნეული იყო, როცა კირვალიძესთან დაკავშირებით ინფორმაცია ჩემამდე მოვიდა. თავდაპირველად ვცდილობდი, ამ მიმართულებით რეაგირება არ მომეხდინა, თუმცა მალევე მივხვდი, რომ ამისთვის პოლიციისა და დანარჩენი უწყებებისთვის უნდა მეთხოვა საქმის გაჩერება. თანაც მსგავსი პრეცედენტი, კირვალიძე როგორი ძვირფასიც არ უნდა ყოფილიყო ჩემთვის, არ უნდა დამეშვა! როგორც ვიცი, პროცესი დასასრულს უახლოვდება. ვიცი, რომ დღეს პროკურატურა სუსტია, მაგრამ არ მინდა, მათ საქმიანობაში ჩავერიო და საქმეების „ზემოდან“ გადაწყვეტას შევაჩვიო. ცოტაც მოვითმინოთ და ყველაფერს ფარდა აეხდება.

— მერიის თანამშრომლების დაკავების ფორმებსაც მოყვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის მხრიდან კრიტიკა, მით უმეტეს, სპეცოპერაცია საკმაოდ საეჭვოდ დაემთხვა ნატო-ს დელეგაციების ვიზიტს...

— დიახ, მერიის თანამშრომლების დაკავება პოლიტიკურად არამომგებიან დროს განხორციელდა, მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, პროცესებს მხოლოდ ერთი ადამიანი არ მართავს. თუ ამ საკითხთან დაკავშირებით ვინმეს პრეტენზია და შენიშვნა აქვს, განცხადებები დაწერონ და შესაბამისი პროცედურები გაიარონ. საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი იწყება და ის ფაქტი, რომ ოპოზიცია ამას უძალიანდება და ყველაფერზე მხოლოდ ყვირილით პასუხობს, არგუმენტად ვერ გამოდგება.

— აღნიშნეთ, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთისგან კონკრეტულ ნაბიჯებს ელოდებით. რას გულისხმობთ, და ისიც საინტერესოა რა მოლაპარაკებებს აწარმოებთ ერევანში, სადაც მინისტრები საკმაოდ ხშირად დადიან?

— სომხეთი ჩვენი მეზობელია და მასთან რუსეთის გარდა, არაერთი სასაუბრო თემა გვაქვს. რუსეთთან ურთიერთობები კი ამ ეტაპზე, ჩვენთვის ყველაზე მძიმე და საინტერესოა. მართალია, კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ქართული პროდუქცია რუსულ ბაზარზე დაბრუნდა, მაგრამ ე.წ. საზღვართან დაკავშირებით გაჩენილი კითხვები შემაშფოთებელია. ამ მიმართულებით სასწაულს არ ველოდები. არ მაქვს ეიფორია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ხვალ მოხდება ან ამ პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ რუსეთს შეუძლია. სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტის ინტერვიუს დიდი ნაწილი საქართველოსთან ურთიერთობას დაეთმო, სადაც ჩემთვის ყველაზე დიდი მინიშნება ის იყო, რომ ჩვენ ძმებ აფხაზებთან და ოსებთან არსებული პრობლემები თავად უნდა გადავწყვიტოთ. ეს მინიშნება კარგად გავიგე და აბსოლუტურად ვეთანხმები. უნდა მოვახერხოთ ჩვენი ძმების დარწმუნება, რომ ქართველებთან თანაცხოვრება მათთვის უფრო საინტერესოა. დიახ, საზღვრებთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები შემაშფოთებელია, მაგრამ მოთმინებითა და პრინციპულობით, დიდ მეზობელთან ურთიერთობებს დავალაგებთ.

— სტატისტიკის მიხედვით, მაისში ეკონომიკური ზრდა არ დაფიქსირებულა. პირიქით, ამ მიმართულებით სტაგნაციაა. ექსპერტების შემდეგ, საოკაშვილმაც გირჩიათ, რომ ეკონომიკის განვითარებისთვის სახელმწიფო ფულის ჩადება აუცილებელია.

— საოკაშვილმა სიტყვა „ეკონომიკის“ გარდა, ამ მიმართულებით არაფერი იცის. ეკონომიკის გასავითარებლად კონკურენტუნარიანი ბაზრის შექმნაა აუცილებელი და დაუშვებელია, ჩინოვნიკი ბიზსნესში ხელს აფათურებდეს. ეს ჩვენ მოვახერხეთ. დახვეწილი კანონების მიღებისა და მისი აღსრულების გარდა, ხელისუფლება ვალდებულია, ბიზნესის ასაღორძინებლად ქვეყანაში ინფრასტრუქტურაც განავითაროს. გარწმუნებთ, მიუხედავად იმისა, რომ ცოტა დავიგვიანეთ, ამ მიმართულებით წინა ხელისუფლებაზე მეტ თანხებს დავხარჯავთ. შეფერხების მიზეზი არასწორად ჩატარებული ტენდერები იყო. მაგალითად, დღეს იუსტიციის სახლების მშენებლობა შეჩერებულია, თუმცა ვამუშავებთ პროექტს, რომლის მიხედვით, სამჯერ იაფად და ეფექტურად გავაგრძელებთ მშენებლობებს.

— არჩევნების შემდეგ რელიგიური ექსტრემიზმი გააქტიურდა, რაც პრობლემებს უქმნის სექსუალურ თუ რელიგიურ უმცირესობებს. თუ გაქვთ ამ მიმართულებით ძალადობის პრევენციის მექანიზმი, მით უმეტეს, როცა თქვენი გუნდის წევრი დავით საგანელიძე გაუგებარ განცხადებებს აკეთებდა?

— გეგმა გვაქვს ასეთი — საქართველოში უნდა ბატონობდეს მხოლოდ სამართალი. ჩვენი კონსტიტუციით, ყველა რელიგიურ უმცირესობას აქვს ლოცვის უფლება საკუთარი მრწამსის მიხედვით. პირველ რიგში, სამთაწყაროს მოსახლეობას მივმართავ. კეთილი ინებონ და, კანონიერება უზრუნველყონ. თუ ეს მშვიდობიანად არ მოხერხდება, კანონის ძალას მთელი სიმკაცრით გამოვიყენებთ. ის ფაქტი, რაც დედოფლისწყაროში მოხდა, მხოლოდ 9-წლიანი მმართველობის გადმონაშთი და ხელოვნურად ინსპირირებულია. რაც შეეხება 17 მაისს, პოლიცია ადეკვატურად მოიქცა — სიტუაციიდან გამოძვრა. დავით საგანელიძეს კი საბჭოზე შენიშვნა მივეცი და მან ეს გამოასწორა.

ვერსიანიუსი

შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის 1-ლი მთავარი სამმართველოს მე-3 სამმართველოს თანამშრომლებმა წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, 1971 წელს დაბადებული ილია ი. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ბრალდებით, კასპის რაიონის სოფელ აღაიანში დააკავეს. სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 4 ნატეხი, ხოლო მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 78 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბუტექსი“ ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული აბები დიდი ოდენობით ნარკოტიკულ ნივთიერება „ბუპრენორფინს“ შეიცავს. ნარკოლოგიურმა შემოწმებამ ილია ი.-ს „ბუპრენორფინის“ და სინთეზური „კანაბინოიდების“ მოხმარების ფაქტი დაუდგინა.

დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც 8-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს).

შსს-მ მკვლელობის ფაქტი მომხდარიდან რამდენიმე საათში გახსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, 1982 წელს დაბადებული ზურაბ კ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. დაკავებულმა გვიან ღამით, იოსებიძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1991 წელს დაბადებული თორნიკე ხიზანიშვილი ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მიღებული სასიკვდილო ჭრილობით საავადმყოფოში გარდაიცვალა. სამართალდამცავებმა ზურაბ კ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დააკავეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 108-ე მუხლით და 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით).

„ვერსიანიუსი“

აუდიტის სამსახურის განცხადების საფუძველზე ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდება?!



პროკურატურა დასაქმების სახელმწიფო პროგრამიდან 5 240 880 ლარის მითვისების საქმეს გამოიძიებს

ᲔᲙᲐ ᲛᲐᲘᲐ ᲛᲘᲨᲔᲚᲐᲫᲔ
593-51-90-12

აუდიტის სახელმწიფო სამსახურის საგანგებო განცხადების მიხედვით, არ არის გამორიცხული, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს და ყოფილ პრემიერ-მინისტრს, ვანო მერაბიშვილს ბრალი კიდევ დაუმძიმდეს. შემდგომი რეაგირების მიზნით, ლაშა თორდიას უწყება მთავარ პროკურატურას იმ მასალებს გადაუგზავნის, რომლითაც ნაციონალურმა მოძრაობამ, საქართველოს მთავრობის დასაქმების სახელმწიფო პროგრამიდან, პარტიული მიზნებისთვის 5 240 880 ლარი მიითვისა. ხუთშაბათს, 4 ივლისს, საგანგებო განცხადება პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, ზურაბ აზნაურაშვილმა გააკეთა.

აუდიტის სახელმწიფო სამსახურმა, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურიდან მიღებული მასალების შესწავლის შედეგად გამოავლინა, რომ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, კანონის გვერდის ავლით, დასაქმების პროგრამისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრები პარტიული მიზნებისთვის გამოიყენა და 5 240 880 ლარის უკანონო შემოწირულობა მიიღო. როგორც ზურაბ აზნაურაშვილმა განმარტა, 2012 წელს, სოციალური მომსახურების სააგენტომ, საქართველოს მთავრობის დასაქმების პროგრამის ფარგლებში, 21 837 პირს შრომითი ხელშეკრულებები გაუფორმა, რომლებმაც პარტიის სასარგებლოდ, წინასაარჩევნო-სააგიტაციო სამუშაოები განახორციელეს: **„დადგინდა, რომ დასაკონტრაქტებელ პირთა სია ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული აქტივისა და მხარდამჭერებისგან შეადგინეს, რომლებიც ინფორმირებულიც კი არ იყვნენ დასაქმების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. აღნიშნული ცხადყოფს, რომ რიგი სახელმწიფო უწყებების მიერ, უგულებელყოფილ იქნა დასაქმების პროგრამით გათვალისწინებული მიზნები და საბიუჯეტო სახსრები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის სასარგებლოდ გამოიყენეს. შედეგად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებებიდან, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო უკანონო შემოწირულობა — 5 240 880 ლარის ოდენობით“.**

ზურაბ აზნაურაშვილის თქმით, იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 19 დეკემბრის ამნისტიის აქტის შესაბამისად, აუდიტის სახელმწიფო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს ადმინისტრაციული საქმის წარმოება და რადგანაც საქმეში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმების დარღვევის ნიშნებიც იკვეთება, დამატებითი შესწავლის მიზნით, ლაშა თორდიას უწყება ამ ანგარიშს საქართველოს მთავარ პროკურატურას გადაუგზავნის.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მაშინ, როდესაც დასაქმების სახელმწიფო პროგრამაში არსებულ ხარვეზებს მთავარი პროკურატურა სწავლობს და ამის გამო, ვანო მერაბიშვილია დაკავებული, სხვა უწყების, ამ შემთხვევაში, აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ ასეთი განცხადების გავრცელება სასამართლოზე ზეწოლაა და სხვა არაფერი. პრეზიდენტის რწმუნებული კახეთში, ზურაბ ჭიაბერაშვილი, აუდიტის სახელმწიფო სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნას არა მარტო სასამართლოზე, არამედ — მასსა და ვანო მერაბიშვილზე ზეწოლად აფასებს:

„იმ პირობებში, როდესაც საქმე სასამართლოშია და დღე-დღეზე სხდომები უნდა დაიწყოს, აუდიტის სამსახურის ეს განცხადება ერთადერთ მიზანს ემსახურება — მხოლოდ ვანო მერაბიშვილსა და ჩემზე კი არა, სასამართლოზეც პოლიტიკური ზეწოლა განხორციელდეს. ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა დეტალი მხოლოდ სასამართლო დარბაზში უნდა გაირკვეს და სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ ამგვარი განცხადებები, სასამართლოს მიუკერძოებლობაში, ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაში ჩარევაა, რაც ჩემი და ვანო მერაბიშვილის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ უფლებას — უდანაშაულობის პრეზუმპციას არღვევს“.

კოალიცია ქართული ოცნების წარმომადგენლები კი მიიჩნევენ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში, აუდიტის სახელმწიფო სამსახური მხოლოდ ქართული ოცნების შემოწირულობებს სწავლობდა და კარგია, თუკი ლაშა თორდიას უწყებამ სწორედ, ნაციონალური მოძრაობის შემოწირულობაც შეისწავლა. რაც შეეხება ამ საქმის სამართლებრივ ასპექტს, ქართული ოცნების წარმომადგენლები თვლიან, რომ ეს უკვე მთავარი პროკურატურის პრეროგატივაა.

ჯერ კიდევ 2012 წლის ივლისში, „ვერსიაში“ გამოქვეყნდა სტატია — „ვანო მერაბიშვილის დასაქმების ბლეფი, ანუ უმუშევრობა, დაეწყვეთ, პრემიერ-მინისტრი დაგთვლით!“ სტატიაში დეტალურად განვიხილეთ წინა ხელისუფლების დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, ექსპერტებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების დახმარებით კი დავასკვენით, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის ბლეფი, რომლითაც წინასაარჩევნოდ, პოტენციური ამომრჩევლების გულების მოგებას ცდილობდნენ. სინამდვილეში, ნაციონალური მოძრაობის დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, „ახალი მემარჯვენეების“ სოფლის განვითარების, ქართული ოცნების ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უმუშევრობის დაძლევის პროგრამების ერთგვარი ჰიბრიდი იყო და „ვერსიაში“ ამაზე ჯერ კიდევ გასული წლის ივლისში ვწერდით. რა თქმა უნდა, 1 000-ლარიანი ვაუჩერით და ფორმალურად შექმნილი უმუშევრობის ბაზით, ორ-სამ თვეში (ივლისიდან ოქტომბრის ჩათვლით და თუნდაც წლის ბოლომდე), ხელისუფლება უმუშევრობას ვერ დაამარცხებდა. მეტიც, ამ პროგრამის განხორციელებას საკანონმდებლო ბაზაც სჭირდებოდა, პროგრამის პრეზენტაცია ივლისში გამართეს, როდესაც პარლამენტი ისვენებდა, საშემოდგომო სესიაზე კი ამ ცვლილებების განხორციელება ვერ მოესწრებოდა, რადგან კარს არჩევნები იყო მომდგარი. შესაბამისად, ვანო მერაბიშვილისეული დასაქმების სახელმწიფო პროგრამა წინასაარჩევნო პიარკამპანია იყო და არა უმუშევრობის დაძლევის რეალური პროგრამა.

მე-4 გვერდიდან

— ანუ ივანიშვილს „ნაციონალების“ ეშინია და ის მისმა წინდებულმა „გასცა“?

— ასე გამოდის, თუმცა არა მგონია, ეს დამოკიდებულება მხოლოდ „ნაციონალების“ მიმართ ჰქონდეს. გავა დრო და ბევრი იგრძნობს, რა არის პრემიერის „ჩა“!

— ექსპერტი რამაზ საყვარელიძე კი აცხადებს, რომ საакაშვილი ვილნიუსის სამიტს „ოცნების“ საწინააღმდეგო განწყობის შესაქმნელად გამოიყენებს ევროპაში და ამას „ოცნება“ ცოტა ხანში იგრძნობს...

— ჯერ ერთი, როგორ შეიძლება სააკაშვილმა ეს ტრიბუნა გამოიყენოს, როცა ამ სამიტს საერთოდ არ დაესწრება, რადგან პრეზიდენტის სტატუსი აღარ ექნება?! მერე, მეორე — მერწმუნეთ, სააკაშვილის, საყვარელიძისა და სხვების განცხადებები არაფერია ეკონომიკის ნულოვან განვითარებასთან შედარებით.

ᲙᲝᲢᲔ ᲒᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

„გავა დრო და ბევრი იგრძნობს, რას ნიშნავს ფსიქოლოგიურად პრემიერის მიერ „ჩა“ წინდებულის ასე ინტენსიურად გამოყენება!“

— საინტერესოა, გადაწონის თუ არა ამ ნულებს სამეგრელოში აღმოჩენილი წამების კადრები, რაც ევროსაბჭოს დეპუტაციამ უკვე ნახა?

— ევროსაბჭოს ელჩების რეაქციაზე რატომ არავინ დაწერა? გამოვიდნენ და „ოცნებისადმი“ ყველაზე კარგად განწყობილმა ელჩებმაც კი თქვეს, ამ უსინდისობაში როგორ მიგვაღებინეთ მონაწილეობა, ეს სად მოგვიყვანეთო?

— ეგ სად თქვეს, ერთადერთი, რაც მოვისმინეთ, აპატურაის განცხადება იყო — „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის უნდობლობით შეშფოთებული ვარო.

— რა თქვას მეტი — დიპლომატიას თავისი ენა აქვს, აბა, კახა კუკავა ხომ არ არის, გინება დაიწყოს? ეს განცხადება მარტივად იშიფრება — მთელი ქვეყნის ოფიციალური მთავრობა წინა მთავრობის დევნითაა დაკავებული. სირცხვილი არ არის, კაცს რომ დაიჭერ, მერე გამოუშვებ და 2 საათში ციხეში შეაბრუნებ?!

ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი — თქვენ გგონიათ, „სირცხვილი“ ცალ მხარეს იანგარიშება?! ჩვენს მხარესაც, ვინც ეს საზიზღრობა და ნაძირლობა გააკეთა, კადრები გადაიღო და ხალხი აწამა, უნდა დაისაჯოს! მე კადრები არ მინახავს, მაგას რა ჯანდაბა მაყურებინებს, სექსუალური ავადმყოფი კი არ ვარ! არსებობს ასეთი სექსუალური გადახრა, ვუაერიზმი, რაც მგონი, აქ მეტ-ნაკლებად, ყველას აქვს! ასეთი დაავადებების საფუძველზე არსებობს სექს და პორნოფილმების ინდუსტრია, სექსშოუები, სტრიპტიზი... ვატყობ, ქვეყანაში უკვე ფსიქოლოგიური პრობლემები დგას და არა პოლიტიკური! ვინც დღეს ამას გაუთავებლად უყურებს და მერე ჩვენ გვაჩვენებს, ხვალ შეიძლება, იგივე თავად გააკეთოს.

ანდა, როგორ შეიძლება, 13 000 ამაზრზენი ჩანაწერი არსებობდეს?!

— ისე საუბრობთ, თითქოს ამას ვიღაც სხვა აკეთებდა და არა ნაციონალური მოძრაობა! საერთოდაც, შეიძლება ამ 13 000 ჩანაწერს შორის რამე თქვენს წინააღმდეგაც იყოს.

— კი, შეიძლება, მაგრამ არავინ გამიუპატიურებია, არც ქრთამი ამიღია, არც სამშობლოს საწინააღმდეგო საუბარი ექნებათ ჩაწერილი. დღეს კი ყველამ იცის, რომ შსს-მ იმდენი აპარატურა შეიძინა, 3-ჯერ მეტი ტელეფონი ისმინება. გარდა ამისა, თურმე, რაღაც დახურული მიმოწერის გასატეხი სისტემა შემოიტანეს და ძალიან ბედნიერები არიან!

— ეს სისტემა სააკაშვილ-მერაბიშვილს არ ჰქონდათ, ხომ?

— არ ჰქონდათ, რა ვიცი. ვიცი, რომ მაშინ 5 000-ზე მეტი ტელეფონი არ ისმინებოდა. ახლა კი 60 000-მდე კაცს უსმენენ.

— თქვენ რა იცით?

— ეს ინფორმაცია ვრცელდება, ამიტომ ნურც იმ კადრებს გაანადგურებენ — უყურონ და დატკბნენ, ბატონო! მეტიც, შემიძლია მივასწავლო, შვეიცარიაში კარგი შვედური პორნოფილმები გამოდიოდა, გერმანული ფილმებიც ცნობილია. საერთოდ, სექსუალური ფილმების ორი სახეობა არსებობს: ცხარე და რბილი სექსი — დასხდნენ და უყურონ გემოვნების მიხედვით! ინტერნეტშიც შეუძლიათ ბევრი რამის მოძებნა — ამით გაერთონ და დაასრულონ, ერთხელ და სამუდამოდ, ამაზე ლაპარაკი. რას ბლანდავენ — თქვან, ვინ გაავრცელა „თალიბების“ ვიდეო სოციალურ ქსელებში და სხვა თემებზე ყურადღება ნუ გადააქვთ, თორემ, ჩანს, სურთ, ახლა ეს კი არა, ქვეყანაში სხვა რამ გახდეს საინტერესო.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ტავ ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერის, მეთე ერქალის პასუხი „ვერსიას“



ბიძინა ივანიშვილი 3 ივლისს გამართულ მორიგ პრესკონფერენციაზე, თბილისის აეროპორტის თემას კიდევ ერთხელ შეეხო. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან ერთად, ბევრს მუშაობს ამ საკითხზე. ახალი ასაფრენი ზოლის მშენებლობა 60 000 000 აშშ დოლარი ჯდება, ამიტომ ივანიშვილი ახალი აეროპორტის მშენებლობას არ გამორიცხავს, რადგან, შესაძლოა, ახალი აეროპორტიც ზუსტად ამდენივე დაჯდეს. პრემიერმა ისიც აღნიშნა, რომ თუ თურქული კომპანია „ტავ ჯორჯია“ თბილისის აეროპორტის განვითარებას ვერ მოახერხებს, მთავრობა ალტერნატივას აუცილებლად გამოძებნის. თბილისის აეროპორტისა და თურქული ავიაკომპანიის შესახებ „ვერსიაში“ ვრცლად უკვე ვწერდით. ინფორმირებულ წყაროებზე დაყრდნობით აღვნიშნეთ, რომ თბილისის აეროპორტი სატრანსპორტო ჰაბის ფუნქციას ვერ, ან არ ასრულებს. იმასაც ვწერდით, რომ ავიაკომპანიების მოსაკრებელი განსხვავებულია, ანუ აეროპორტის მმართველი თურქული კომპანია უპირატესობას თანამემამულეებს ანიჭებს, რადგან მათთვის დაბალი ფასები აქვს დაწესებული. მეტიც, მოსაკრებელი ბილეთის ფასშიც აისახება, რაც მგზავრობას აძვირებს. რაც მთავარია, ასაფრენი ზოლი ავარიულ მდგომარეობაშია. მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი ასაფრენი ზოლით დაინტერესდა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა „ტავ ჯორჯიას“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო. სტატიის გამოქვეყნების შემდეგ, „ვერსიას“ „ტავ ჯორჯიას“ წარმომადგენელი დაუკავშირდა და დაგვპირდა, რომ ჩვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე პასუხს გაგვცემდა. „ვერსიის“ კითხვებს „ტავ ჯორჯიას“ გენერალური მენეჯერი, მეთე ერქალი პასუხობს:

— დასრულდა თუ არა „ტავ ჯორჯიას“ ხელმძღვანელებისა და ეკონომიკის მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის მოლაპარაკებები და თუ გაირკვა, ვინ ააშენებს ახალ ასაფრენ ზოლს, ისევ „ტავ-ჯორჯია“, სახელმწიფო თუ რომელიმე სხვა კომპანია?

— ამ ეტაპზე მოლაპარაკებები „ტავ ჯორჯიასა“ და ეკონომიკის სამინისტროს შორის გრძელდება. თავიდან ჩვენი შეხვედრების მთავარ საკითხს მხოლოდ ახალი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობა და ამ კონკრეტული მემორანდუმის პირობები წარმოადგენდა. მოლაპარაკებების მსვლელობისას ვითარება შეიცვალა. 20 მაისს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი სტამბოლში TAV Airports-ის პრეზიდენტს, სანი შენერს პირადად შეხვდა და ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის გარდა, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერირების შესახებ არსებულ ხელშეკრულებაში, მცირედი ცვლილებების შეტანის საკითხიც განიხილა. არსებული BOT ხელშეკრულება, რომელიც ჩვენ 2005 წელს გავაფორმეთ მთავრობასთან და რომლითაც დღემდე ვხელმძღვანელობთ, 78-გვერდიანი დოკუმენტია. 12 ივნისს, ეკონომიკის სამინისტრომ ახალი, სულ სხვა შინაარსის 220-გვერდიანი ხელშეკრულება გამოგვიგზავნა, რომელიც დაწვრილებით უნდა შევისწავლოთ. ამ ეტაპზე, „ტავ ჯორჯია“ ხელშეკრულების პირობებს ეცნობა.

— „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, აეროპორტის ტენდერში „ტავ-ურბანის“ გამარჯვების შემდეგ, როდესაც დღის წესრიგში ახალი აეროპორტის აშენება დადგა, გაიზარდა მოსაკრებელი, რაც ყოველ ბილეთზე, 22 აშშ დოლარია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა მგზავრი, რომელიც თბილისის აეროპორტიდან მიფრინავს, ბილეთზე დამატებით 22 დოლარს იხდის, რაც აეროპორტის მმართველ კომპანია „ტავ-ჯორჯიას“ რჩება. გარდა ამისა, 22 საათიდან დილის 6 საათამდე, არათურქული ავიაკომპანიებისთვის, აეროპორტის მიერ გაწეულ მომსახურებას 25% ემატება, ხოლო თურქული კომპანიებისთვის — 10%. მაგალითად, იმ ბოინგების ტექნიკური მომსახურება, რომლებიც დღეს ყველაზე ხშირად დაფრინავენ თბილისის აეროპორტიდან, არათურქულ კომპანიას 765 დოლარი უჯდება, ხოლო თურქულს — 650 დოლარი. თუ არათურქული ავიაკომპანიისთვის მგზავრთა მომსახურება 415 დოლარი ღირს, თურქული კომპანიისთვის ეს მომსახურება მხოლოდ 340 დოლარია. რამდენად რეალურია წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაცია?

— მგზავრის მოსაკრებელი, როგორც აქ არის აღნიშნული და, როგორც მას უწოდებენ, Passanger TAX დაწესებულია მსოფლიოს თითქმის ყველა აეროპორტში და შედის ბილეთის ფასში.ამ მოსაკრებლებს სხვადასხვა აეროპორტები, სხვადასხვა მიზნებისთვის აწესებენ. ზოგს აღებული აქვს კრედიტი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მის დასაფარად აწესებს მოსაკრებელს, ზოგი აეროპორტი კი ამ გზით, ჯერ აგროვებს გარკვეულ თანხას და მერე იწყებს რაიმე პროექტს. ზოგჯერ ეკოლოგიის გაუმჯობესებისთვის წესდება მოსაკრებელი და ზოგი ამას ქვეყნიდან გამგზავრების მოსაკრებელს არქმევს. მაგალითად გერმანიაში, ეს მოსაკრებელი მერყეობს 7,5 ევროდან, 42,18 ევრომდე და დამოკიდებულია მიმართულებებზე, ქვეყნების მიხედვით. ბევრ აეროპორტში მოსაკრებელი 22 აშშ დოლარზე გაცილებით მეტია. თბილისის აეროპორტიდან მიმავალი თითოეული მგზავრი, მომსახურების მოსაკრებელს — 22 აშშ დოლარს იხდის მხოლოდ საერთაშორისო რეისებზე. ადგილობრივ რეისზე ეს თანხა გაცილებით მცირეა და 6 აშშ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება საქართველოში ჩამოსულ მგზავრებს, მოსაკრებელი მათთვის არ მოქმედებს. ჩვენ შეგვიძლია თბილისის აეროპორტის მგზავრთა მოსაკრებელი შევადაროთ რეგიონის სხვა აეროპორტების მოსაკრებელს. მაგალითად, ბაქოს აეროპორტში ეს გადასახადი ქვეყნიდან მიმავალ მგზავრზე 20 ევროს, ხოლო ჩამოსულ მგზავრზე — 10 ევროს შეადგენს. ერევანში კი მიმავალი მგზავრის მოსაკრებელი 20 ევროა. ამას ემატება 30 დოლარი, რაც საჰაერო მომსახურების მოსაკრებელია. თბილისის აეროპორტში კი ეს მოსაკრებელი არ მოქმედებს.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ვიდრე „ტავ ჯორჯია“ თბილისის აეროპორტის ოპერირებას ჩაიბარებდა, 1995-2005 წლებში, ძველ აეროპორტში მგზავრთა მომსახურების მოსაკრებელი 6-დან 18 დოლარის ფარგლებში მერყეობდა. რაც შეეხება მომსახურების ფასებს, საინფორმაციო ცნობარში გამოცხადებული გვაქვს თვითმფრინავების ძირითადი მომსახურების ტარიფები, რომელიც ერთნაირია ყველა ავიაკომპანიისთვის, ქართულია ეს კომპანია, თურქული თუ სხვა ქვეყნის. ისევე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ აეროპორტში, ღამით მომსახურების დროს, ავიაკომპანიები იხდიან ღამის ტარიფს (რომელიც 25%-ით მეტია, ვიდრე დღის ტარიფი).მოცემული ფასები მოქმედებს ყველა ავიაკომპანიისთვის, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, ავიაკომპანიის ფრენის სიხშირის, ახალი მიმართულებების პერსპექტივის გათვალისწინებით (არაფერ შუაშია მათი წარმომავლობა), ჩვენ გარკვეულ ფასდაკლებებს ვთავაზობთ. მოცემულ მომენტში ვერ დაგისახელებთ ვერც ერთი ავიაკომპანიის ზუსტ ტარიფს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ თითოეულ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება კონფიდენციალურია. ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ, რომ თურქული კომპანიები, სხვა ავიაკომპანიებთან შედარებით, უპირატესობით სარგებლობენ. შესაბამის ორგანოებს, რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ, შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოითხოვონ და შეამოწმონ ზემოხსენებული ტარიფების თემა.

— საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა, „ტავ ჯორჯიასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში პირდაპირ დააფიქსირა, რომ 300 კილომეტრის რადიუსში, არც ერთ ავიაკომპანიას არ ჰქონდა უფლება, აეროპორტი გაეკეთებინა. ხელშეკრულების ეს მუხლი ახლაც მოქმედებს და სწორედ ეს მუხლი იყო მიზეზი, რის გამოც ბათუმის აეროპორტი თურქეთს გადასცეს. ასეა?

— თქვენს მიერ სტატიაში მოყვანილი 300 კილომეტრის რადიუსთან დაკავშირებული ინფორმაცია არასწორია. საქართველოს მთავრობასა და „ტავ ჯორჯიას“ შორის, 2005 წელს გაფორმებულ BOT ხელშეკრულებაში, კერძოდ კი, 15.4.3 პუნქტში ნახსენებია, რომ მხოლოდ 150 კილომეტრის რადიუსში არ შეიძლება სხვა კომპანიის მიერ საერთაშორისო აეროპორტის აშენება (ეს მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოში, რათა დაცული იყოს ინვესტორის უფლებები). ბათუმი გაცილებით შორს არის, ამიტომ თავდაპირველად, „ტავ ჯორჯიას“ არანაირი პრეტენზია არ ჰქონდა ბათუმის აეროპორტის მშენებლობაზე. პირდაპირ გეტყვით, რომ ჩვენმა კომპანიამ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობა და მისი ოპერირება, საქართველოს მთავრობის თხოვნის შემდეგ იკისრა. 2005 წელს, „ტავ ჯორჯიამ“ ჩაიბარა ბათუმის აეროპორტი, რომელიც იმ დროისათვის მუშაობდა წაგებაზე, სახელმწიფოს წინაშე რესტრუქტურიზებული საგადასახადო დავალიანება 1 000 000 ლარზე მეტი იყო, ასევე პერსონალის სახელფასო დავალიანება, უამრავი კრედიტორი და პრობლემა ჰქონდა.

— თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემოგარენში, თურქებმა აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიიდან ყველა კაფე-ბარი დახურეს, მხოლოდ ერთი კაფე აიღეს იჯარით და თვეში 1 800 აშშ დოლარსაც იხდიდნენ, მაგრამ დაკეტეს. ეს იმიტომ გააკეთეს, რომ მხოლოდ აეროპორტის ბარმა იმუშაოს, სადაც სიძვირეა. მაგალითად, „კოკა-კოლა“ ან ჩაი რომ დალიოთ, 5 და 10 ლარი უნდა გადაიხადოთ. თბილისის აეროპორტის გარშემო არ არსებობს პატარა კაფე-ბარი, რომ ვიდრე ვინმეს გააცილებთ ან დახვდებით, მისაღებ ფასად, რამე მიირთვათ. ეთანხმებით თუ არა „ვერსიის“ წყაროს ინფორმაციას?

— „ტავ ჯორჯიას“ თავის მფლობელობაში არ გააჩნია კვების ობიექტები. ამ საქმისთვის მას ჰყავს მოიჯარეები. თბილისის საერთაშორისო აეროპორტის შემოგარენში თუ ვინმემ რამე დახურა, ეს მათ საკუთარი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე გააკეთეს. ძველი აეროპორტის გარშემო ახლაც უამრავი აუთვისებელი ტერიტორიაა. ნებისმიერ მსურველს შეუძლია მოგვმართოს და ჩვენ განვიხილავთ მათ წინადადებას კომერციული ობიექტის გახსნასთან დაკავშირებით. ცნობისთვის, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, უკვე დაახლოებით 20 წელია, მუშაობს კაფე-ბარი „ნაძვნარი“. აეროპორტის გვერდით, „საქართველოს ფოსტის“ ტერმინალშიც იყო ადრე სასადილო, „ტავ ჯორჯია“ მას ვერ დახურავდა იმ მიზეზის გამო, რომ იგი ჩვენ არც გვეკუთვნოდა. ძველი აეროპორტის მიმდებარედ პატარა კაფეები იყო, რომლებიც იმიტომ დაიხურა, რომ მომხმარებლები არ ჰყავდათ. რაც შეეხება ფასებს — თუ ერთხელ მაინც გიმგზავრიათ ნებისმიერ ქვეყანაში, შეამჩნევდით, რომ ქალაქში არსებულ კაფე-ბარებსა და საერთაშორისო აეროპორტების კაფე-ბარების ფასებს შორის, ყველგან განსხვავებაა.

ვერსიანიუსი

„6%-იანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა ალბათ, არარეალისტური იქნება“

ამ განცხადების ავტორი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილია: **„ვფიქრობთ, 4,5-5%-ს მიღწევა კიდევ არის შესაძლებელი. ამისთვის ძალიან ბევრი წინაპირობაა საჭირო. მათ შორის, უნდა შეწყდეს ის უარყოფითი პიარი, რომელიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს“.**

კვირიკაშვილისვე თქმით, მთავრობა ყოველდღიურად მუშაობს იმ ფაქტორების მოხსნაზე, რომელიც ეკონომიკური ზრდის ნაკლებობის შემადგენელია: **„ჩვენი მხრიდან ყველაფერს ვაკეთებთ, რომ გაიზარდოს მთავრობის ეფექტიანობა ამ მიმართულებით. 2 ივლისს ეკონომიკური გუნდის შეხვედრა გვქონდა და ყველა საკითხი განვიხილეთ. ვფიქრობთ, უახლოეს დღეებში დავგეგმოთ ქმედითი ნაბიჯები, რათა ყველა ეს შემაფერხებელი ფაქტორი მოიხსნას“.**

6%-იანი ეკონომიკური ზრდის შესახებ განცხადება პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა.

„ინტერპრესნიუსი“

ანა ძევხიშვილი
557-10-44-22

SOS! ტრეფიკინგის შემდეგ, საქართველოში სექს-ტურიზმი ვითარდება!

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა მსოფლიოში ადამიანთა ტრეფიკინგის ყოველწლიური მოხსენება გამოაქვეყნა. დოკუმენტში, რომელიც 2012 წლის შედეგებია მოყვანილი, აღნიშნულია, რომ საქართველო ტრეფიკინგთან ბრძოლაში მინიმალურ სტანდარტებსაც ვერ აკმაყოფილებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, შესაბამისი თანამდებობის პირები გადაამზადა, სამართალდამცავი უწყების ძალისხმევა შემცირებულია და ამ სახის დანაშაულის ჩადენის გამო, ბევრად ნაკლები ადამიანია დასჯილი.



გაიზიარებს თუ არა ჩვენი ქვეყანა ესტონეთი-უკრაინის ბედს და უმასპინძლებს თუ არა ათასობით უცხოელ პედოფილს

სტატისტიკის მიხედვით, ყოველ წელს, მსოფლიოში 2-4 მილიონი ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი. მათი უმეტესობა აზიის მოქალაქეა. ტრეფიკინგის მსხვერპლია ყოველწლიურად 500 000 ადამიანი ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — 20 000. მათი 70% გოგონები და ქალებია, რომლებიც ძირითადად სექსუალურ ექსპლოატაციას განიცდიან. ამ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ, ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტი მოქმედებს — გაერო-ს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ და ევროსაბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ.

„ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, **ელენე რუსეცკი** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს: **„ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში, საქართველოს აქამდე უკეთესი პოზიცია ეკავა. ვითარების შეცვლა კი, ალბათ უპირველესად, ქვეყანაში არსებულმა სექსუალურმა და შრომითმა ექსპლოატაციამ განაპირობა. სახელმწიფოს ამ დანაშაულთან დაკავშირებით აქვს სამოქმედო გეგმის გაწერის ვალდებულება. ჩვენმა ორგანიზაციამ გააკეთა ანგარიშის მონიტორინგი და რეკომენდაციები მივაწოდეთ მთავრობას. პროცესში იუსტიციის სამინისტროსთან ერთად ჩავერთეთ — შეიქმნა ჯგუფი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს ახორციელებს. ჩვენი ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, მოსახლეობაში საინფორმაციო სტრატეგიის შექმნა, რაზეც ახალი ხელისუფლება დაგვთანხმა. იმედია, მალე აღნიშნული საფრთხეების შესახებ თითოეული მოქალაქე სრულად იქნება ინფორმირებული“.**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოების“ ხელმძღვანელი **ნანა ნაზაროვა** კი მიიჩნევს, საჯარო მოხელეებს, რომლებიც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში არიან ჩართულნი, სათანადო გამოცდილება არ გააჩნიათ, რაც პრობლემას ქმნის. ასევე, უშუალოდ ტრეფიკინგის ბრალდებით, იშვიათად ასამართლებენ ვინმეს და საქმეც ამ მუხლით იშვიათადაა აღძრული:

— საქმეები ძირითადად დაკვალიფიცირებულია არა ტრეფიკინგის, არამედ იძულების მუხლით. ტრეფიკინგი დანაშაულის ახალი ტიპია. მტკიცებულებების მოძიება ძალიან ძნელია. რთულია გაერკვე ვითარებაში და ზუსტად განსაზღვრო, ადამიანებით ჩაერთო ამა თუ იმ საქმიანობაში, მაგალითად, პროსტიტუციაში, თუ იძულებით.

— საქართველოს აქვს ტრეფიკინგთან ბრძოლის სამუშაო გეგმა, სადაც აღნიშნულია, რომ მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს სამართალდამცველების გადამზადება. ამ დანაშაულის აღმოსაფხვრელად ეს საკმარისია?

— ტრეფიკინგი ისეთი დანაშაულია, რომ აუცილებელია არასამთავრობო და სამთავრობო სტრუქტურების თანამშრომლობა. ჩვენმა ორგანიზაციამ ბოლო საერთაშორისო ანტიტრეფიკინგული სკოლა 2010 წელს ჩაატარა 10 ქვეყნის სამართალდამცველებისთვის. საქართველოს პოლიციიდან კი არც ერთ სატრენინგო ციკლზე არ გაუშვეს პოლიციელები.

— წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს მუდმივად ადანაშაულებდნენ დანაშაულებრივი სქემის ხელშეწყობაში. ამ მხრივ, ახლა რა ვითარებაა?

— წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ჩართული რომ არ ყოფილიყვნენ ამ საქმიანობაში, სხვანაირად არ იქნებოდა. ერთ კონკრეტულ მაგალითს მოგიყვანთ: უზბეკ პარტნიორებთან ერთად, ვმონაწილეობდით ტრეფიკინგის ორი მსხვერპლის შინ უსაფრთხო დაბრუნების პროცედურაში. თავიდან საქმე იძულების მუხლით იყო აღძრული. მსხვერპლის დაცვა, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციას ევალება. დანარჩენი პოლიციის საქმეა. აჭარის პოლიციამ სერიოზულად იმუშავა. დაკითხეს გოგონები და ჩვენებები ვიდეოზე გადაიღეს. ორი დღის მუშაობის შემდეგ, საქმე ჩვენებების საფუძველზე შეიცვალა. დანაშაული დაკვალიფიცირდა ტრეფიკინგის მუხლით. პოლიციისა და პროკურატურის მუშაობით კმაყოფილი არ ვარ. ეს მათ პირადადაც ვუთხარი. დროის მართვისა და ადამიანური რესურსის, მაგალითად, თარჯიმნების პრობლემა აქვთ. აკადემიაში სათანადო ცოდნას ვერ იღებენ. ვინც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მუშაობს, მუდმივად უნდა გადამზადდეს, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ტრეფიკერები, მეთოდებს ხშირად ცვლიან. ეს საქმე როგორ დასრულდება, ჯერაც არ ვიცი.

კიდევ ერთი კონკრეტული შემთხვევა მოხდა 2012 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ტრეფიკერი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ნაცნობი იყო — მამიდის მეზობელი. გოგონა მამამ უზბეკეთიდან საქართველოში, ჩაის ფაბრიკაში სამუშაოდ გამოაგზავნა. აქ კი პროსტიტუციაში ძალით ჩააბეს — როცა უარი განაცხადა, სცემეს. სამ კვირამდე „იმუშავა“. ერთხელ, ღამეში, 10 კაცს მოემსახურა. ისტერიკა დაემართა და გაქცევა გადაწყვიტა. ტრეფიკერმა ისე სცემა, დაასისხლიანა. მაინც გაიპარა. ქუჩაში შეხვდა ერთ უზბეკ ქალს, რომელიც ქართველზე იყო გათხოვილი. ქალმა გოგონა სახლში წაიყვანა. ტრეფიკერმა მისი ადგილსამყოფელი გაიგო. ჯერ დაურეკა უზბეკ ქალს და უთხრა, ას დოლარს გაჩუქებ, ოღონდ გოგონა ისევ ჩემთან გამოუშვიო. უარი რომ მიიღო, სახლშიც კი მიუვარდა და ატეხა სკანდალი. ისევ სცემა ის გოგონა. უბნის ინსპექტორი გამოიძახეს. საქმე აღიძრა ტრეფიკინგის მუხლით კი არა, სხეულის დაზიანების ფაქტზე. პოლიციაში ტრეფიკერს გოგონას პასპორტი ჩამოართვეს და პატრონს დაუბრუნეს. გოგონას შეეძლო შინ დაბრუნება, მაგრამ სცხვენოდა და დაიმალა. მაქვს ინფორმაცია, რომ ის თურქეთში გაიყვანეს. სავარაუდოდ, კიდევ გახდებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლი.

აღიძრა ტრეფიკინგის მუხლით კი არა, სხეულის დაზიანების ფაქტზე. პოლიციაში ტრეფიკერს გოგონას პასპორტი ჩამოართვეს და პატრონს დაუბრუნეს. გოგონას შეეძლო შინ დაბრუნება, მაგრამ სცხვენოდა და დაიმალა. მაქვს ინფორმაცია, რომ ის თურქეთში გაიყვანეს. სავარაუდოდ, კიდევ გახდებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლი.

ეს მაგალითი იმისთვის მოგიყვანეთ, რომ დარწმუნდეთ, ჩვენთან პოლიცია ყველაფერს აკონტროლებდა. სამართალდამცავებმა ყველაფერი კარგად იცოდნენ, მაგრამ არ მოქმედებდნენ. 2013 წლამდე აჭარაში არც ერთი საქმე არ აღძრულა ტრეფიკინგის მუხლით. იმედია, ვითარება, ახალი ხელისუფლების პირობებში, შეიცვლება.

— საქართველოს მოქალაქეები ძირითადად რომელ ქვეყნებში ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლი?

— საქართველოს მოქალაქეები, შრომითი ტრეფიკინგის მსხვერპლნი ხდებიან, ძირითადად თურქეთში. მათი ძალიან დიდი უმრავლესობა კაცია. ჩვენი მოქალაქეები მონურ პირობებში მუშაობენ საბერძნეთსა და იტალიაშიც. ქართველების მიმართ რამდენიმე სექსუალური ტრეფიკინგის შემთხვევებიც დაფიქსირდა.

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ ბოლო ორი წელია, საქართველოში სექს-ტურიზმის განვითარება დაიწყო. ამის შემდგომი ეტაპი კი, პედოფილების ჩამოსვლაა. ამის მწარე გამოცდილება აქვს, მაგალითად, ესტონეთსა და უკრაინას. შარშან, გონიოს მოსახლეობამ, მათ ტერიტორიაზე უამრავი ბორდელის შექმნა გააპროტესტა, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა.

P.S. 2013 წლამდე, არა მხოლოდ აჭარაში, ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით იყო იშვიათი შემთხვევა, საქმე ტრეფიკინგის მუხლით დაეკვალიფიცირებინათ და, რაც მთავარია, ტრეფიკერი დაესაჯათ. 2013 წლიდან კი — ვითარება იცვლება. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ თუ წინა ხელისუფლებას ტრეფიკინგის „აყვავების“ ხელშეწყობაში ადანაშაულებდნენ, ახალი ხელისუფლების პირობებში, რამდენიმე ასეთი დანაშაულის გახსნაც ახსოვს საზოგადოებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხელისუფლება აქტიურადაა ჩაბმული ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში. 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით გადამზადდნენ საპატრულო, სასაზღვრო და მოქალაქეებთან კონტაქტში მყოფი პოლიციელები. ასევე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა შსს-ს აქტიური მხარდაჭერით, დაბეჭდა საინფორმაციო ხასიათის 4000 ბროშურა, რომელიც გავრცელდა შიდა და ქვემო ქართლის, ასევე იმერეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობაში. გარდა ამისა, ჩატარდა სხვადასხვა სახის შეხვედრა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. „ვერსიასთან“ საუბრისას, შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნინო გიორგობიანი განმარტავს, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლაში სამინისტრო აქტიურადაა ჩაბმული: **„შსს ტრეფიკინგის წინააღმდეგ აქტიურად მუშაობს და ამ მიმართულებით კვლავ გააგრძელებს მუშაობას. შს სამინისტრო მუდმივად აქვეყნებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი საქმე გაიხსნა. ალბათ, გახსოვთ, დედა შვილს რომ აიძულებდა პორნოგრაფიული სურათების გადაღებას... ეს საქმე ამერიკელებთან ერთად გავხსენით და ამისთვის მათ დიდი მადლობა გადაგვიხადეს. ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ და საკმაოდ ბევრი საქმე გვაქვს გახსნილი. ვმუშაობთ სექს-ტურიზმის მიმართულებითაც — მოქალაქეებისთვის პროსტიტუციის მიზნით ბინის გადაცემის ბრალდებით, მიმდინარე წელს უკვე რამდენიმე პირი გვყავს დაკავებული. შსს ტრადიციას არ დაარღვევს, ამ დანაშაულებების წინააღმდეგ კვლავაც აქტიურად განაგრძობს მუშაობას და შედეგებს, საზოგადოებას, მუდმივად აცნობებს“.**

ვერსიანიუსი

სასამართლომ უგულავას დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა

გიგი უგულავას სასამართლო პროცესზე, მოსამართლე მერაბ ჯორბენაძემ უგულავას დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნუსხიდან ჯოზეფ ქეის ჩვენების ამოღების შესახებ.

მოსამართლის თქმით, სტამბოლში, საქართველოს საკონსულოში მოწმე ჯოზეფ ქეის დაკითხვა ჩატარდა კანონის მოთხოვნათა დარღვევით.

გარდა ამისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ არ უნდა დაკმაყოფილდეს ბრალდების მხარეს შუამდგომლობა, საქმეზე დამატებითი მტკიცებულების დართვის შესახებ.

მოსამართლე მერაბ ჯორბენაძის გადაწყვეტილებით, თბილისის მერის გიგი უგულავასა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის საქმეზე ჯოზეფ ქეი, გიორგი ისაკაძე, ნინო ბაქრაძე, პაატა სირაძე, დავით იაკობაშვილი და ნატალია ჩიჩუა სასამართლოს წინაშე დაიკითხებიან.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლემ 3 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში წინასასამართლო სხდომაზე მიიღო.

„ნიუპოსტი“

ძალადობისთვის დაკავებული პოლიციის ყოფილი უფროსი სასამართლომ გაათავისუფლა

მაღალჩინოსანი, რომელსაც პიროვნების სკამის ფეხით გაუპატიურებასა და უფლებამოსილების გადამეტებაში ედებოდა ბრალი, სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო.

30 ნოემბერს, ბორჯომის პოლიციის ყოფილი უფროსი მამუკა ხვედელიანი დააკავეს. ხვედელიანს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის პირველი ნაწილით წაუყენეს ბრალი, რაც დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს. ხვედელიანს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლითაც წარედგინა ბრალი.

2009 წლის 1 იანვარს, ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში, ახალგაზრდებს შორის მომხდარი ჩხუბის დროს დააკავეს ჩხუბის ერთ-ერთი მონაწილე და მას დანაშაულის აღიარებას სხვადასხვა მეთოდებით თხოვდნენ. როგორც მაშინ პროკურატურაში აცხადებდნენ, დაკავებულს ჯერ ფოტოები გადაუღეს, თუ როგორ „იჯდა ბოთლზე“, შემდეგ კი, სკამის ფეხით გააუპატიურეს. ამ ყველაფერს იღებდა ხვედელიანი მობილური ტელეფონით, ხოლო ძალადობდა მასთან ერთად დაკავებული პოლიციის თანაშრომელი ბლიაძე. ბრალდებული ხვედელიანი ახალციხის რაიონულმა სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო. ეს ფაქტი, 4 ივლისს, ბორჯომის მოსახლეობამ აქციით გააპროტესტა.

„ნიუპოსტი“

„ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲪᲔᲞᲢᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲡ

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ
555-98-61-65

„გარდენიაში“ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა — ფეხსაცმელში, საბავშვო ეტლსა თუ ძველებურ „ხოჭო“ მანქანაში ჩარგული მცენარეები, დაწნული და თიხის ფერადი ქოთნები, ძველებური, ანტიკვარული ავეჯი, პატარა თოჯინები, ლამაზად გამოფენილი ჩითის ხალათები... შესვლისთანავე მივხვდი, რომ ზღაპრულ ადგილას მოვხვდი. გავიფიქრე, წარმოუდგენელია, ეს ყველაფერი ადამიანის ხელით იყოს შექმნილი-მეთქი... არადა, ეს ბიოლოგისა და ბევრისთვის მაინც იუმორისტად ცნობილი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ბაღი და საცხოვრებელია.

რატომ არ მიიჩნევს თავს იუმორისტად და როგორ მოახერხა დედამიწაზე „სამოთხის“ გაშენება „გარდენიას“ ავტორმა

— ტრადიციულ გურულ ოჯახში გავიზარდე — კეთილი ადამიანების გარემოცვაში. თბილი და საინტერესო ურთიერთობების წყალობით, ბევრისთვის მართლაც რომ სანატრელი, ხალისიანი და ლაღი ბავშვობა მქონდა. იმაშიც გამიმართლა, რომ ოჯახის ყველა წევრი მიჭერდა მხარს ჩემი იდეის განხორციელებაში.

— პაროდისტობა ბავშვობიდან გინდოდათ?

— საკუთარი თავი პაროდისტად არასოდეს ჩამითვლია. ეს გატაცება იყო.

— თუმცა, ფილარმონიის სცენაზე დადგომის შანსი ყველას არ ეძლევა...

— ძალიან ინტერესიანი ადამიანი ვარ — ყოველთვის მაინტერესებს შიდა სამზარეულო. გერმანიაში ცხოვრების დროსაც ბევრს ვმოგზაურობდი ბოტანიკურ ბაღებში. უამრავ საინტერესო ბაღსა და კოლექციონერს გავეცანი... სტუდენტობისას რადიო 105-თან ვთანამშრომლობდი. პარალელურად, უნივესიტეტის მხიარულთა და საზრიანთა კლუბში ვთამაშობდი... ყველაფერი მინდოდა მომესინჯა. ასე იყო ფილარმონიის შემთხვევაშიც... ჯემალ ბაღაშვილი ჩემი პროფესიიდან გამომდინარე გავიცანი — ბაღის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით გარკვეული კონსულტაციები გავუწიე. მოგვიანებით, „იუმორინაში“ მონაწილეობა შემომთავაზა, რაზეც, რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი.

— ამ მიმართულებით მოღვაწეობა რატომ აღარ გააგრძელე?

— იმიტომ, რომ ჩემს თავს იუმორისტად არ მივიჩნევ. საქართველოში ბევრი ნიჭიერი იუმორისტია და ეს საქმე მათ აკეთონ. მე პროფესიით ბიოლოგი ვარ და მირჩევნია ის ვაკეთო, რაც მართლაა ჩემი საქმე.

— თუმცა, უდავოა, იუმორის ნიჭითაც გამოირჩევით...

— დიახ, მაგრამ ამ საქმეს ფილარმონია არ სჭირდება — ახლაც სიამოვნებით ვხუმრობ მეგობრების წრეში. მე ხომ გურული ვარ და ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია.

— მებაღეობის შესწავლა რატომ გადაწყვიტეთ?

— რა თქმა უნდა, მცენარეების სიყვარულის გამო. ბავშვობიდან მქონდა ამ დარგის შესწავლის ინტერესი.

— თუმცა, მებაღეობის კულტურა ჯერ კიდევ უცხოა საქართველოში...

— საქართველოში ეს ტრადიციული დარგი ნამდვილად არ არის, მაგრამ მიხარია, რომ ჩვენს ქვეყანაში მებაღეობის კულტურა ნელ-ნელა ვითარდება. საპატრიარქოში სპეციალური სასწავლებელიც კი არსებობს, სადაც ამჟამად 300-მდე სტუდენტი მყავს. ასე რომ ინტერესი ნამდვილად მატულობს.

— თავად სად დაეუფლეთ მებაღეობას?

— უნივერსიტეტი საქართველოში დავამთავრე. შემდეგ გერმანიაში, ბონის უნივერსიტეტში შევისწავლე მებაღეობა. გერმანიაში სულ 7 წელი ვიცხოვრე. არ ვაჭარბებ და 3 თვეზე მეტ ხანს საქართველოს გარდა, ვერცერთ ქვეყანაში ვერ ვძლებ, ამიტომ გულწრფელად მიკვირს იმ ადამიანების, რომლებიც უცხოეთში მიდიან და აღარ ბრუნდებიან.

— ამ წალკოტის გაშენება როგორ მოახერხეთ?

— ყოველთვის მინდოდა მქონოდა პატარა ბაღი, ასეთივე პატარა და ლამაზი შენობებით... სადაც ადამიანები მხოლოდ ყვავილების შესაძენად კი არა, სულიერი სიამოვნების მისაღებადაც ამოვიდოდნენ. მადლობა ღმერთს, ამ იდეის განხორციელების საშუალება მომეცა. წელს „გარდენია“ ხუთი წლის გახდა და ამ ხნის განმავლობაში სტუმარი არ მოჰკლებია. ხომ ხედავთ, ახლაც როგორი ხალხმრავლობაა?! ცხელი ამინდების გამო, ვაპირებთ საღამოს 9 საათამდე გადავწიოთ სამუშაო დრო. იმდენად შევეჩვიე სტუმრიანობას, ჭიშკარს რომ ვკეტავ და მარტო ვრჩები, ერთი სული მაქვს, როდის გათენდება. უფრო ხშირად ხელოვანი და ხელოვნების დამფასებელი ადამიანები ამოდიან. ბევრი აქ მცენარეების საყიდლად არც მოდის — სუფთა ჰაერზე ისვენებენ, ფოტოებს იღებენ... მადლობა ღმერთს, ჩემი ცხოვრების წესით, სხვა ადამინებსაც ვანიჭებ სიხარულს. ყველა დეკორაცია ჩემი იდეითა და ხელითაა შექმნილი. ეს ჩემი სახლიცაა, ბარიც, ეზოც და კარ-მიდამოც...

— რამდენი მცენარის ჯიში ხარობს ამ კარ-მიდამოში და ახალი ჯიშები თუ გამოგყავთ?

— ახალი ჯიშების გამოყვანა ასე იოლი არ არის, თუმცა ვცდილობთ ჩვენი კოლექცია განსაკუთრებული იყოს. ჩვენი ქვეყნის ფლორა ნამდვილად იძლევა ამის საშუალებას — ჯერ მარტო მცენარეების 4200 სახეობა ველურად იზრდება საქართველოში. ამის სანახავად მთელი ევროპა მოილტვის და ახალი ჯიშების გამოყვანა-გამოგონების ნაცვლად, მირჩევნია იმ არაჩვეულებრივ, უძველეს ჯიშებს მოვუარო, რომელსაც განახლება და აღორძინება სჭირდება. „გარდენიაში“ 5600 სახეობის მცენარეა და სეზონურად მუდმივად იცვლება ასორტიმენტი. ბაღის უკან დიდი მეურნეობა გვაქვს, სადაც 20-მდე ადამიანი მუხლჩაუხრელად შრომობს იმისთვის, რომ ბაღის წინა ნაწილში ყველაფერი ყვაოდეს. ამჟამად მეურნეობაში შემოდგომის კოლექციაზე მიმდინარეობს მუშაობა. ახალგაზრდები, ძირითადად, ჩემი ნასტუდენტარები მუშაობენ. გვყავს რამდენიმე ხანდაზმული აგრონომიც, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობებში აქვთ ნამუშევარი. ჩვენთან ყველაზე უხუცესი თანამშრომელი 83 წლისაა, თუმცა, ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება საქმეში.

— თავად რომელი მცენარე გიყვარს გამორჩეულად?

— ვერ გამოვარჩევ — ყველა მცენარე მიყვარს. ჩემს სტუდენტებსაც ხშირად ვეუბნები — კარგი და ცუდი მცენარე არ არსებობს, ყველა ლამაზი და სასარგებლოა, თუ მას საჭირო ადგილზე, დროულად და გემოვნებით დასვამთ-მეთქი.

— აუცილებლად უნდა გკითხო პირად ცხოვრებაზე... ასეთ ბაღნარში ცხოვრებაზე არცერთი ქალბატონი უარს არ იტყვის. ცალად რატომ ხართ?

— ამ ბაღნარს იმდენი ტალახი ახლავს... ალბათ, ეს მეორე ნაწილი აღარ მოსწონთ. ვერც მე შევპირდები ჩემს მომავალ მეუღლეს, რომ ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ ბაღნარი იქნება, უკანა მხრიდანაც უნდა დაინახოს ყველაფერი — ის შრომა, რასაც თითოეული ჩვენგანი ამ ბაღში ვეწევით.

— ანუ, აუცილებელია მეუღლეებს ერთნაირი ინტერესები გქონდეთ?

— მსგავსი მაინც, რადგან წარმოუდგენელია ჩემს მეუღლეს მცენარეები არ უყვარდეს და ჩემთან ცხოვრება შეძლოს. ჩემს საქმეს იმხელა დროს ვუთმობ, თუ მასაც არ ექნება ამის ინტერესი, ნამდვილად ვერ შედგება ტანდემი. თუმცა, ოჯახის შექმნისთვის ჯერ საკმარისი დრო მაქვს — 33 წლის ვარ, მეტის კი არა.

— ქალაქური ორომტრიალისგან მოშორებით ცხოვრების გამო, ალბათ პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად იქნები ჩართული, მაგრამ არ გამოვა გვარად შევარდნაძეს პოლიტიკურ სიმპათიებზე არ გკითხო...

— ჩემი ბაღი მართლაც შორსაა ამ ყველაფრისგან. საინფორმაციო და პოლიტიკურ გადაცემებს ტელევიზიითაცარ ვუყურებ. საერთოდ, იშვიათად გავდივარ ბაღიდან. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრი პოლიტიკოსი მეგობარი მყავს — ამ მთავრობის წევრებიც და ძველისაც. კარგი ადამიანები აქაც არიან და იქაც. ყველა მათგანმა თავისი წვლილი შეიტანა საქვეყნო საქმეში. რაც შეძლო, გააკეთა... ვინც არ გააკეთა, ხომ ხედავთ — გადავირჩიეთ. მიმაჩნია, რომ წინა ხელისუფლებამ ცუდის გარდა, ბევრი სასარგებლო საქმეც გააკეთა. საერთოდ, მე სულ მგონია — აი, ახლა გვეშველება რამე, აი ახლა-მეთქი, ამიტომ ახლაც იმედიანად ვარ, მაგრამ რა არის, იცით?! თითოეულმა ჩვენგანმა თუ ჩვენი გასაკეთებელი საქმე არ გავაკეთეთ, არაფერი გვეშველება. მნიშვნელობა არ აქვს ადამიანი პოლიტიკოსია, ხელოვანი თუ მებაღე — ნებისმიერი საქმე სიყვარულით უნდა აკეთო. მინდა ადამიანები უფრო ხალისიანი სახეებით მოდიოდნენ ჩემს ბაღში და უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე დღეს. პოლიტიკოსებმაც ისეთი თავდადებით რომ აკეთონ საქმე, როგორც მე ჩემს საქმეს ვაკეთებ — 5 წელიწადში აშენდება ქვეყანა.

ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲙᲐᲚᲘᲔᲑᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲨᲔᲐᲬᲣᲮᲔᲑᲡ!

რატომ არ ცარდება დედაქალაქში კალიების საწინააღმდეგო შეწამვლითი სამუშაოები?

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲠᲨᲘᲚᲐᲫᲔ
599-55-63-56

თბილისში, გარე თუ ცენტრალურ უბნებში, კალიების შემოსევაა! ცხელ ზაფხულში, დედაქალაქის მოსახლეობა, ამ დაუპატიჟებელი სტუმრების შიშით, ფანჯრებსაც კი ველარ აღებენ. „ვერსია“ დაინტერესდა, გატარდება თუ არა რაიმე ღონისძიება ამ მავნებლის გასანადგურებლად. ინფორმაციის მისაღებად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის სამსახურის უფროსს, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ დავუკავშირდით.

— საქართველოში, ძირითადად, ორი სახეობის კალიაა გავრცელებული — მაროკოული და იტალიური. მაროკოული კალია ადრე გაზაფხულზე ჩნდება. მისი სიცოცხლისუნარიანობის პერიოდი უკვე დამთავრებულია. ახლა იტალიური კალია გვიტევს და ისიც სიცოცხლისუნარიანობის ბოლო ფაზაშია — 10-15 დღე დარჩა მის კვერცხმდებლობამდე, მერე დაიხოცებიან. ხოლო თუ თბილი ზამთარი იქნა და კვერცხები არ გაიყინა, კალიები მომავალ წელს გამოიჩეკებიან. ქალაქელებს კალიები უბრალოდ აშინებს და დისკომფორტს უქმნის. სოფლად კი, მათ დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ — მწვანე საფარს, სიმინდს, შვრიას, ხორბალს და მარცვლეულ კულტურებს ანადგურებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო კალიების გასანადგურებელ ღონისძიებებს 12 მაისიდან ახორციელებს. დამუშავებულია 16 000 ჰექტარზე მეტი ფართობი. ახლა ღონისძიებები შეზღუდულია, რადგან კალიების გავრცელების კერებში ხორბალსა და ქერს იღებენ და მოსავალი არ უნდა დაბინძურდეს. კალიების გავრცელების ძირითადი კერებია დედოფლისწყაროსა და სიღნაღის რაიონები. შემდეგ დაემატა მარნეული, გარდაბანი, ქარელი, კასპი, რუსთავი... წითელწყარო, სადაც ამ დღეებში განვახორციელებთ შესაბამის ღონისძიებებს.

— კალიებმა შარშანწინ შემოგვიტია და წელს.

— დიახ. მას ციკლური განვითარება ახასიათებს. განსაკუთრებით ხელშემწყობია მაღალი ტემპერატურა.

— წამლები, რომლებსაც სოფლებში კალიების წინააღმდეგ იყენებთ, ცხოველებს არ წამლავს?

— როცა კალიების საწინააღმდეგო სამუშაოებს ვატარებთ, მოსახლეობას წინასწარ ვაფრთხილებთ, რომ 1 კვირის განმავლობაში პირუტყვი არ გამოიყვანონ კალიების საწინააღმდეგო წამლით დამუშავებულ ადგილებში.

— კალიების გამანადგურებელ ღონისძიებებს დედაქალაქშიც განახორციელებთ?

— ქალაქის ტერიტორიაზე არაა რეკომენდებული ძლიერმოქმედი პრეპარატების გამოყენება. თბილისში არის კუტკალიები. ისინი მწვანე საფარს არ ანადგურებენ. უბრალოდ, მისი დანახვა მოსახლეობაში დისკომფორტს იწვევს. სხვა გზა არაა, მათ ბუნებრივ დახოცვას უნდა დაველოდოთ. შესაწამლი საშუალებები რომ გავუშვათ, ხალხი დაიწამლება. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ამერიკული თეთრი პეპლის გამო, პეკინის ოლიმპიადა კინაღამ ჩაიშალა. კალიების დანახვა დისკომფორტს გვიქმნის, მაგრამ ქალაქის მოსახლეობისთვის მისი არსებობა საშიშროებას არ წარმოადგენს. თანაც, ივლისის მეორე ნახევარში პრობლემა თავად მოგვარდება.

„მივმართავთ მერიას, თბილისის მიკროავტობუსს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება!“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

რატომაა გაუსაძღისი თბილისში „მარშრუტკებით“ მგზავრობა და რა პასუხი აქვს „თბილისის მიკროავტობუსს“ საკრებულოს წევრების ბრალდებებზე

უკვე წლებია, თბილისელები მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის არაკომფორტულობაზე საუბრობენ. ზოგი მგზავრთა გადატვირთულობას აპროტესტებს, ზოგი მძღოლთა არაპროფესიონალიზმზე აკეთებს აქცენტს, ზოგიც კონდიცირების სისტემის არარსებობას უჩივის. ეს პრობლემა მეტადრე, ზაფხულის ცხელ დღეებში ხდება აქტუალური. დედაქალაქში, მიკროავტობუსებში, კონდიციონერებს მძღოლები არ რთავენ და მიზეზად, ზედმეტ ხარჯს ასახელებენ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ჯაბა სამუშია** აცხადებს: **„ზაფხულის ცხელ დღეებში თბილისელები გვატყობინებენ, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობა შეუძლებელია. სოციალურ საკითხებზე არ შემოდის იმდენი ზარი ჩვენთან, რაც ბოლო ათი დღის განმავლობაში ხდება „მარშრუტკებთან“ დაკავშირებით. ცხელ დღეებში არც ერთ მიკროავტობუსს არ აქვს ჩართული კონდიცირების სისტემა. ეს არის პირდაპირ დარღვევა იმ შეთანხმებისა, რაც დაიდო თავის დროზე, თბილისის მერიასა და თბილისის მიკროავტობუსს შორის. გაუსაძლისი ვითარებაა შექმნილი მუნიციპალურ ტრანსპორტში. არადა, სატენდერო პირობების მიხედვით, მიკროავტობუსების ტენდერში გამარჯვებულ ფირმას ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად ჰქონდა ჩადებული, რომ მას უნდა ჰქონოდა კონდიცირების სისტემა. სამწუხაროდ, თბილისელები მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. ერთი დღის განმავლობაში 50 000-ზე მეტი თბილისელი მგზავრობს მიკროავტობუსით. არც ერთ მიკროავტობუსს არ აქვს ჩართული კონდიცირების სისტემა. მივმართავთ მერიას, სასწრაფოდ დაუკავშირდეს თბილისის მიკროავტობუსს, მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულება. მერიას და შესაბამის სამსახურს დროს ორშაბათამდე ვაძლევთ. 8 ივლისს კი, ვითხოვთ, საკრებულოში მობრძანდეს თბილისის ტრანსპორტის სამსახურის უფროსი“.**

ჯაბა სამუშია ამტკიცებს, რომ სწორედ კონდიცირების სისტემის დაპირების გამოც გაიმარჯვა ტენდერში ამ კომპანიამ. ნომერ პირველ პრიორიტეტად იყო მითითებული, რომ მიკროავტობუსებს უნდა ჰქონოდა კონდიცირების სისტემა. კონდიცირების სისტემის არსებობა იყო ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მერიის მხრიდანაც. **„შესაბამისად, დღეს, მერია არ ახორციელებს ამ გადაწყვეტილებაზე კონტროლს, ყველაფერი მიშვებულია თვითდინებაზე. დღესვე გაეგზავნება წერილი მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს, რომ ორშაბათს მოხდეს ამ საკითხის საკრებულოში განხილვა და შეჯერება. მძღოლები ამბობენ, კონდიცირების სისტემა გაფუჭდაო. აქ მთავარი ისაა, რომ კონდიცირების სისტემის მუშაობის შემთხვევაში, დამატებითი ვენტილაციის სისტემა გაითიშებოდა. წინა სამარშრუტო ტაქსებს ჰქონდათ ლუქები. ახლა აღარც ლუქები არსებობს და კონდიცირებასაც არ რთავენ. სატენდერო პირობების თანახმად, მიკროავტობუსში სამ ადამიანზე მეტი არ შეიძლებოდა ფეხზე მდგარიყო. დღეს არც ამის კონტროლი ხდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადგილი აქვს საბოტაჟს“,** — განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ბრალდებებს „თბილისის მიკროავტობუსში“ უპასუხეს. ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის, **ნინო პოტრჟებსკაიას** განმარტებით: **„კომპანიამ უზრუნველყო, რომ ყველა მიკროავტობუსში კონდიცირება გამართულად მუშაობდეს. თუ კონდიცირების სისტემა მძღოლს ჩართული არ აქვს, მგზავრს უფლება აქვს, მძღოლს მოსთხოვოს მისი ჩართვა. თუ მძღოლი უარს ეტყვის, მგზავრი უნდა დაგვიკავშირდეს ცხელ ხაზზე 2-200-340 ან მოგვმართონ განცხადებით და მძღოლის მიმართ ადმინისტრაციულ ზომებს მივიღებთ. თავდაპირველად, მძღოლი დაჯარიმდება. იმ შემთხვევაში თუ მეორედაც იგივე დარღვევა დაუფიქსირდება, კომპანია მას ათი დღიდან ერთ თვემდე ხაზიდან მოხსნის. თუ მესამედაც იგივე განმეორდა, მძღოლთან ხელშეკრულება შეწყდება. რაც შეეხება მგზავრთა რაოდენობას. აქაც იგივე ადმინისტრაციული ზომები მოქმედებს. ფეხზე 5 მგზავრზე მეტი არ უნდა იყოს. რამდენიმე დღის წინ თბილისის მიკროავტობუსმა ჩაატარა გაფართოებული თათბირი. ყველა მიკროავტობუსის მძღოლი და ავტოსადგომების ხელმძღვანელები კატეგორიულად გააფრთხილა, რომ 5 მგზავრზე მეტი ფეხზე არ დააყენონ. ჩვენი კომპანიის წარმომადგენლები დადიან და ინსპექტირებას აკეთებენ“.**

„სააკაშვილს მოუწევს ბრძოლა, რომ ციხეს თავი აარიდოს“

ქართული დინება: საით მიდის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, — ამ სათაურით აქვეყნებს ბრიტანული გამოცემა IBTimes (International Business Times) უმბერტო ბაკის სტატიას საქართველოზე. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე, საქართველო ხელისუფლებისთვის ბრძოლაში ჩაერთო და დასავლეთსა და რუსეთს შორის იხლიჩება: **„როცა საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში პოლიტიკური ოპონენტების შესახებ ხელნაწერი ფაილები, გაუპატიურებისა და წამების ამსახველი ვიდეოები, ასაფეთქებელი მოწყობილობები და ჰეროინი აღმოაჩინეს, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ იარაღის საიდუმლო სამალავი სააკაშვილის მთავრობის ძალადობრივი პოლიციური რეჟიმის უსაფრთხოების სამსახურებს ეკუთვნოდათ. ხელისუფლებამ კონკრეტულად ერთი ადამიანისკენ – ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრსა და სააკაშვილის უახლოეს მოკავშირე ვანო მერაბიშვილისკენ მიუთითა“.**

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ მერაბიშვილი უკვე გისოსებსმიღმაა, მაგრამ სამეგრელოში აღმოჩენილი იარაღის საიდუმლო სამალავი მის წინააღმდეგ დამატებითი ბრალდებაა: **„ამ ბრალდებებს, ძირითადად, პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევენ. მერაბიშვილი, რომელიც ერთ დროს საქართველოში რიგით მეორე, ყველაზე გავლენიანი ფიგურა იყო, ერთ-ერთია იმ ათეულობით მაღალჩინოსანს შორის, რომლებიც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დააკავეს“.** ბრიტანული გამოცემის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ ოქტომბერში გამართული არჩევნების შედეგებმა დაძაბული დაპირისპირება წარმოშვა ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის.

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ პრემიერ-მინისტრი უარს აცხადებს ოპონენტებთან საუბარზე, თუმცა მისი ხისტი პოზიცია, პოლიტიკურად მოტივირებული დაკავებები და ხელისუფლების ბინძური განაწესი, საფრთხეს უქმნის სააკაშვილის მთავარ მემკვიდრეობას — თბილისის დასავლეთისკენ სვლის გამყარებას.

სტატიის ავტორი წერს, რომ სააკაშვილის მმართველობისას ქვეყანა საგრძნობლად განვითარდა – აშენდა მრავალსართულიანი სასტუმროები, თანამედროვე შენობები, განახლებული ბათუმი იზიდავდა უამრავ ტურისტსა და უცხოელ ინვესტორებს, მათ შორის იყო ამერიკელი მილიარდერი დონალდ ტრამპი. იგი თავად სტუმრობდა ბათუმს, სადაც „ტრამპ თაუერი“ უნდა აეშენებინა. საქართველო ასევე დაწინაურდა მსოფლიო ბანკის რეიტინგში.

„თუმცა, მიუხედავად ახალი ინვესტიციებისა და სამშენებლო ბუმისა, ბევრი ქართველი საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებას ვერ გრძნობდა. ქვეყნის გადასავლურებასთან და სურვილთან ერთად — „საქართველო შვეიცარიად ექცია სინგაპურის ელემენტებით“, სააკაშვილს ავტორიტარიზმში ადანაშაულებდნენ, მის მიმართ კრიტიკამ იმატა, მის მხარდამჭერთა შორისაც კი“, — წერს უმბერტო ბაკი.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, მიუხედავად ასეთი რეპუტაციისა, სააკაშვილმა არჩევნებში მარცხი სწრაფად აღიარა, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან პირველ რვა თვეში მომხდარმა ეპიზოდებმა დასავლელი დამკვირვებლების მხრიდან მის მიმართ შეშფოთება გაზარდა: **„საქართველოს მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ მრავალფეროვანი შემადგენლობა, რომელთა შორის არიან ისეთები, ვისაც შევარდნაძის პოსტსაბჭოთა ერის ნოსტალგია აქვთ, ივანიშვილს დიდ ფორას აძლევს, თუმცა კოალიცია ასევე გამოირჩევა პოლიტიკური კოორდინაციის პრობლემებითა და ხშირად სუსტი მმართველობითაც. ქვეყანაში, სადაც მძღოლები ეკლესიასთან ყოველი გასვლისას პირჯვარს იწერენ, შეუძლებელია, არ აღნიშნო ამ ინსტიტუციის ძალა“.**

სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ მერაბიშვილის დაკავებას დასავლეთთან ურთიერთობების გაციება მოჰყვა და ივანიშვილის საარჩევნო დანაპირებს – ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის მიზნის შენარჩუნებას კიდევ ჩრდილი მიადგა: **„თუმცა, ივანიშვილმა უარყო სააკაშვილისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ დევნა, მაგრამ აღნიშნა, რომ პოსტის დატოვების შემდეგ, არ არის გამორიცხული, პრეზიდენტიც დააკავონ“.**

უმბერტო ბაკი აღნიშნავს, რომ წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, საქართველოს ახალმა პრემიერ-მინისტრმა რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის პირობაც დადო: **„ივანიშვილის ქმედებები სრულად ეწინააღმდეგება წინამორბედის ქმედებებს. როცა რუსმა სამხედროებმა 300 მეტრით გადმოწიეს ბარიერები სამხრეთ ოსეთის სადავო ტერიტორიის საზღვარზე, ივანიშვილის პასუხი იყო, რომ მოსკოვის ქმედებების კრიტიკისთვის მიზეზი არ არსებობდა – დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდებაო“.**

სტატიაში ნათქვამია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე, „ქართული ოცნების“ დროშები კლავაც ფრიალებს სახლების თავზე, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამარჯვებას მათი საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მოიპოვებს, ეს მაინც არ არის სტაბილურობის გარანტი:

„კოალიცია ივანიშვილისა და მისი ფულის გარშემოა გაერთიანებული. თუმცა, ცოტა ხნის წინ პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავა. თუ პრემიერი დანაპირებს შეასრულებს, მაშინ პოლიტიკურად დანაწევრებული საქართველოს დატოვებას რისკავს, რომელსაც დასავლეთი არ ენდობა. სააკაშვილს კი, რომელსაც კონსტიტუციით, მესამე ვადით არჩევა არ ეკუთვნის, ივანიშვილის გადადგომით გამოწვეული უპირატესობის ხელში ჩაგდება გაუჭირდება, რადგან საკუთარი პარტიის აღდგენა, ფაქტობრივად, ნულიდან მოუწევს ისევე, როგორც ბრძოლა — თავი აარიდოს ციხეში გამომწყვდევის ნებისმიერ მცდელობას. ციხეში, რომელიც მისი რეჟიმის დროს ასეთი ცნობილი გახდა. როგორც ჩანს, ერთადერთი ძლიერი ინსტიტუციაა ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, ამ მომენტით ისარგებლებს. ამასობაში კი, კრემლი ყურადღებით აკვირდება მოვლენებს“.

„ინტერპრესნიუსი“

გუბაზ მეგრელიძე
551-11-06-21

საინგილო ჩვენი ტკივილია

ამას წინათ, კახის რაიონში სტუმრად იმყოფებოდნენ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კოტე სურგულაძე და მისი აპარატის თანამშრომელი თემურ ტარტარაშვილი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი, მეუფე მელქისედეკი (ხაჩიძე), რუსთაველის თეატრის მსახიობები: მურმან ჯინორია, ჯემალ ღაღანიძე, სოსო ლაღიძე, დათო კვირცხალია. ეს გახლდათ ოფიციალური დელეგაცია, რომელის მიზანიც ქართულ მოსახლეობასთან ურთიერთობის განმტკიცებისა და გაუმჯობესების ხელშეწყობა გახლდათ. ამ მიზნით კ. სურგულაძე შეხვდა რაიონის გამგებელს მუსა შექილიევს. საუბარი შეეხო იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება ახორციელებს ქართველ ადგილობრივ მკვიდრთათვის. ამ შეხედრას კურატორობდნენ საქართველოს დესპანი აზერბაიჯანში ირაკლი სვანიძე და უფროსი მრჩეველი გელა გიორგაძე. სტუმრების პატივსაცემად მუსა შექილიევმა ოფიციალური სადილი გამართა.

ქართველ ხელოვანთა დელეგაცია საინგილოში

აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს, აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს თანამშრომლები დაგვხდნენ. მათ მსუბუქ მანქანაში დავიტიეთ სპექტაკლის აპარატურა, ხოლო საელმწიფო მინისტრმა თავისი „ჯიპიდან“ წმ. ნინოს ხატიც გადაიტანა, რომ საზღვარზე ზედმეტი პრობლემებისგან დაზღვეული ვყოფილიყავით.

სოფ. ალიბეგლოს ქართული თეატრის შენობა

საზღვრის გადაკვეთიდან თავი ისევ საბჭოთა კავშირში ვიგრძენით. მძღოლებმა გვითხრეს, რომ 10 ლარის გადაუხდელად არ უშვებენ, ხოლო სამარშრუტო მიკროავტობუსის მძღოლს ორივე მხარეს რეისი 170-180 ლარი უჯდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც პოლიციელი მძღოლს ლუდის, საუზმის ან სხვა რამის მიტანას ავალებს და ეს ჩვეულებრივ მოვლენადაა მიღებული. ასევე უშლიან ქართულენოვანი ტრაფარეტის გაკეთებას, რომელიც აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზე უნდა იყოს დაწერილი. აღსანიშნავია ისიც, რომ აქ საწვავი 45-60 კაპიკის ფარგლებში ღირს (დიზელი 45 კაპ. ა92-55 კაპ. ა95-60 კაპიკი), რაც საქართველოს რეალობისთვის ნახევარ ფასს შეადგენს. ადგილობრივი ხელისუფლება საწვავის გატანას არ ზღუდავს, მაგრამ საქართველოს საზღვარზე იკრძალება და 5 ლიტრის აღმოჩენის შემთხვევაშიც კი, ჯარიმა 1000 ლარს აღწევს. ამ ამბავმა ჩამაფიქრა, რადგან კერძო ფირმების მიერ შემოტანილი საწვავის არარეალური და გაორმაგებული ფასები აშკარა კორუფციაზე მიანიშნებს.

აზერბაიჯანში ჰეიდარ ალიევის კულტია გამეფებული. საინგილომდე 90 კილომეტრის მანძილზე მისი 10 სურათი დავთვალე, ხოლო კახის რაიონულ ცენტრში 2 ძეგლი და სამი დიდი პორტრეტია გამოფენილი. სკოლებში, კულტურის სახლებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში კი მამა-შვილის პორტრეტები აუცილებელი ატრიბუტია. მოსახლეობასთან საუბარში გაირკვა, რომ საშინელი კორუფციაა გამეფებული და ქრთამის გარეშე, პრაქტიკულად, არაფერი კეთდება. გზაზე რამდენიმე ადგილას ძველი კედლის ნანგრევები მოჩანს, რომელიც ისტორიულად „კავკასიის დიდი კედელი“ (რომელსაც ადგილობრივები „საინგილოს გრძელ გალავანს“, ან „საინგილოს დიდ კედელს“ უწოდებენ) იყო და აზერბაიჯანულად გაურკვეველი შინაარსის წარწერა „ციხის კედელი“ აქვს. იგი ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, ვინაიდან აზერბაიჯანელ მოსახლეებს კვალის წაშლის მიზნით, ახალი ქვის კედლები აქვთ აშენებული.

ქართული დელეგაცია და კახის გამგეობა ქართულ სოფელ ალიბეგლოს ესტუმრა, სადაც წმ. ნინოს სახელობის ეკლესიის ეზოში მოსახლეობას შეხვდნენ. მეუფე მელქისედეკის მიერ წირვის ჩატარების შემდეგ, ადგილობრივი ქართველები დიდი სიხარულით შეეგებნენ პოპულარულ მსახიობებს. მათ გამოთქვეს სინანული, რომ კახის კულტურის სახლში სპექტაკლის ნახვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ. მსახიობმა მურმან ჯინორიამ ეკლესიის ეზოში შეკრებილი მაყურებლისთვის უყოყმანოდ წარმოადგინა სპექტაკლიდან ნახევარსაათიანი ნაწყვეტი. სპექტაკლის პროგრამაზე მსახიობმა თავისი მიზანი ასე გამოხატა: **„ამ სპექტაკლით მინდა, ჩვენი მომავალი თაობა, ჩვენი ახალგაზრდობა მივუახლოვო ქართულ გენეტიკურ მახსოვრობას“.** ეს სურვილი მურმან ჯინორიას აქ, ამ ძირძველ ქართულ მიწაზე სრულყოფილად აუხდა, როდესაც მაყურებლის თვალზე ცრემლები შევამჩნიეთ და ხმადაბლადაც აჰყვნენ მსახიობის მიერ ქართველ პოეტთა ლექსების მხატვრულად კითხვას.

ეს მართლაც დიდი პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი შეხვედრა გამოვიდა, სადაც მოსახლეობამ ემოციურად შეიგრძნო გენეტიკური ფესვების განუმეორებელი გემო და დაუვიწყარი სურნელი. მართლაც, ტერენტი გრანელის, ტიციან და გალაკტიონ ტაბიძეების, ლადო ასათიანის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძისა და სხვა შედევრების მოსმენამ მსმენელს დიდი პატრიოტული მუხტი შესძინა. ამას ემატებოდა მურმან ჯინორიას მაღალმხატვრული კითხვა, სადაც ჩანდა ლექსის აზრობრივი სიდიადე, ემოცია და სამშობლოს სიყვარულის განცდა.

მსმენელი ასევე სიხარულით შეხვდა პოპულარული მსახიობის ჯემალ ღაღანიძის გამოსვლას. ამიტომაც გამოითქვა სურვილი მსაგავსი შეხვედრების ხშირად გამართვისა, რომ საქართველოდან უფრო რეალურად იგრძნონ პოლიტიკოსთა და ხელოვანთა ყურადღება და მორალური მხარდაჭერა, რაც მათ განსაკუთრებულად სჭირდებათ არსებულ რთულ პირობებში.

1871 წელს აშენებული ალიბეგლოს გუმბათოვანი ეკლესია წელიწადნახევრის წინ გაიხსნა, სადაც ლოცვა თითქმის საუკუნის მანძილზე არ აღსრულებულა. აქ უწინ საწყობი ყოფილა, საიდანაც დიდი რაოდენობის ნაგავი გაიტანეს და 2011 წლის 1 ივნისს, წმ. ნინოს შემოსვლის აღსანიშნავად აკურთხეს. ამ დღემდე კი მოსახლეობა 5 წლის მანძილზე აგროვებდა დოკუმენტაციას, რისთვისაც შეიქმნა „ქრისტიანული თემი“ (ხელმძღვანელი კოტე ბარიხაშვილი). აღსანიშნავია, რომ

ხელისშეშლის მიზნით, სავალდებულო 20-კაციანი მრევლის რაოდენობა ადგილობრივმა ხელისუფლებამ 50 კაცამდე გაზარდა, მაგრამ ეს წინააღმდეგობა ხალხის შემართებით მაინც გადაილახა.

ამავე დროს, სოფელ ქოთოქლოში ტაძარი მზად არის, მაგრამ მოძღვარს წირვის ჩატარების უფლებას არ აძლევენ. ასევე, სოფელ მეშამბაშში წმ. მიქაელის სახელობის XIX საუკუნის ბოლოს (1895 წ) აშენებული ეკლესიის რემონტი 1989 წელს დამთავრდა. შარშან სოფლელებმა შემოღობეს, მაგრამ ჩინოვნიკური ბარიერების გადალახვის ლოდინში დღემდე უმოქმედოდ დგას. სოფელ ალათემურში ჩვ.წ.ა. IV საუკუნის „სამების“ ეკლესიის ნანგრევებია, რომლიდანაც მოსახლეობამ ნახევარი მეტრი მიწა გაიტანა, ტერიტორია გაწმინდა და შემოღობა, მაგრამ გადახურვისა და წირვის ჩარატების უფლებას არ აძლევენ. ასევე, კახის რაიონულ ცენტრში არსებული პატარა ალავერდის ეკლესია დიდი ხანია გამოკეტილია.

დღის მეორე ნახევარში დელეგაცია კახის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში მივიდა, სადაც კოტე სურგულაძემ წმ. ნინოს ხატი შესწირა. ეზოში მოვინახულეთ მიქაელ ყულოშვილის საფლავი, რომელიც წმინდა სინოდმა 2013 წლის იანვარში წმინდანად შერაცხა. 1917 წელს, მუსავატებმა 93 წლის ასაკში, წამებით ამოხადეს სული. მანამადე კი ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვეს, რაზეც მამა მიქაელმა მიუგო: **„ადამიანის ბოლო მაინც სიკვდილია. მაშ, მომკალით წმინდა სამების გულისთვის. სიკვდილის შიშითაც არ მივიღებ თქვენს სარწმუნოებას“.** იგი ცნობილი საზოგადო მოღვაწეც იყო, რომელიც ქართულ პრესაში „ჰერეთელის“ ფსევდონიმით იბეჭდებოდა. იქვეა ივანე ბულუღაშვილის საფლავი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ქრისტიანული სარწმუნოების შესანარჩუნებლად, რაც მისი საფლავის წარწერაზეც არის ასახული: **„1850 წელს იხსნა საინგილო გადარჯულებისაგან“.** ამიტომაც, გასაკვირი არაა, რომ მათ საფლავებთან დარგულმა ხემ უცნაური ფორმა მიიღო და თითქოს ქედმოხრის ნიშნად, მისმა ტოტმა მიწაში ხელმეორედ გაიდგა ფესვები, რაც საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს.

საეკლესიო პირთა ეს პატრიოტული შემართება დღესაც გრძელდება. მრევლი დიდი სიყვარულით იგონებს მამა ბადრის (არჩვაძე), რომელიც 2009-11 წლებში მოღვაწეობდა. იგი სოფელ-სოფელ დადიოდა და ქადაგებდა. მის გარშემო ბევრი ხალხი იყრიდა თავს და ამიტომაც ალათემურში წირვის ჩატარება აუკრძალეს. ორი წლის წინ ხატებიც მოიპარეს და კინაღამ დააპატიმრეს. მამა ბადრი ქართველებს თავისი მანქანით ემსახურებოდა, მკურნალობის ფულს უხდიდა, ვისაც ძალიან უჭირდა, ეკლესიის საცხობიდან პურს ნახევარ ფასში, ან უსასყიდლოდ აძლევდა და ამიტომაც, იძულებული გახადეს, აქაურობა დაეტოვებინა. შემდგომ, 2011-12 წლებში მრევლს წინამძღოლობდა მამა ბასილი (გოგილაშვილი). ამჟამად, მღვდელმსახურების რთულ მისიას მამა დემეტრე (თეთრუაშვილი) განაგრძობს.

ამავე ეზოში მოქმედებდა ქართული საკვირაო სკოლა, რომელიც უკვე ერთი წელია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დახურა. აქ ფუნქციონირებდა ქარგვის, გალობის, სიმღერის, ხატვისა და კომპიუტერის შემსწავლელი წრეები. მიუხედავად ამისა, კახის გამგებელმა მუსა შექილიევმა კედლებზე შემორჩენილ ბავშვთა ნახატებზე მიგვითითა, უნდოდა, აქ ოდესღაც არსებული წრის რეალობის ილუზია ჩვენთვის შეექმნა.

მასპინძლებმა დაგვათვალიერებინეს კახის ერთი ქუჩა, რომელსაც „ძველ კახს“ უწოდებენ და სიღნაღის მიბაძვით არის რესტავრირებული, სადაც ადგილობრივი არქიტექტორები იყვნენ მივლენილნი. აქ მდებარე მუზეუმში მუსა შექილიევმა სიამაყით გვამცნო, რომ ახლომდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქვისა და ბრინჯაოს ხანის ნაშთები, რაც ძველ ცივილიზაციაზე მიუთითებდა, ოღონდაც მაშინდელ ტომთა დასახელება აღარ დაუკონკრეტებია. ასევე გვიჩვენა თამარ მეფისდროინდელი ოვალური ხიდი, რომელიც XVII საუკუნით დაათარიღა...

საღამოს კახის რაიონული კულტურის სახლში გაიმართა მურმან ჯინორიას მონოსპექტაკლი „ქარი მწყურია მე პირდაპირი“, ხოლო შემდეგ აჩვენეს კინოფილმი „ჩირიკი და ჩიკოტელა“ ცნობილი მსახიობის ჯემალ ღაღანიძის მონაწილეობით. მან დამსწრეთ მოუთხრო თავისი ბიოგრაფიის ყველასთვის უცნობი პერიოდი: „მეშვიდე კლასიდან მსახიობობაზე ვოცნებობდი. თბილისში მაშინ საშუალო სკოლა 11-წლიანი იყო, ამიტომ სკოლის დამთავრების დროს თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე მიღება არ იქნებოდა. ამ პერიოდში ჩვენს ოჯახში სტუმრად მოვიდა პროფესორი არჩილ ჯანაშვილი, რომელმაც შემომთავაზა კახის სკოლაში გადასვლა და მის ოჯახში ცხოვრება.

დასასრული მე-12 გვერდზე

სოფ. ალათემურის ეკლესიის ნანგრევები

Wall Street Journal ირანთან ცალმხრივი სავიზო რეჟიმის შემოღების შესახებ

საქართველოს მხრიდან ირანთან ცალმხრივი სავიზო რეჟიმის შემოღებას ამერიკული გამოცემა Wall Street Journal ეხმაურება. როგორც სტატიის ავტორი, ბენუა ფუკონი წერს, საქართველომ ირანელებისთვის ქვეყანაში უვიზოდ შემოსვლის პოლიტიკა იმ შეშფოთების ფონზე შეცვალა, რომ აშშ-ს მოკავშირე ქვეყნის მეშვეობით თეირანი სანქციებს გაურბოდა.

ამერიკულ გამოცემაში აღნიშნულია, რომ ირანელები საქართველოში უვიზოდ 2011 წლის შემდეგ მოგზაურობდნენ. **„თუმცა, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, საქართველომ ცალმხრივად გააუქმა თავისუფალი სავიზო რეჟიმი ირანთან“,** — წერს ბენუა ფუკონი.

Wall Street Journal-ის სტატიაშია აღნიშნულია, რომ საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შედეგად, ქვეყანაში საგრძნობლად გაიზარდა ირანელ ტურისტთა და ირანული კომპანიების რაოდენობა ისევე, როგორც ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა: **„თუმცა, ობამას ადმინისტრაციამ შეშფოთება გამოთქვა, რომ შესაძლოა, საქართველოს თეირანი ბირთვული პროგრამისთვის დაწესებული სანქციებისთვის თავის ასარიდებლად იყენებდა“.**

სტატიის ავტორის თქმით, რამდენიმე კვირის წინ, Wall Street Journal-ში გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ, სადაც ნათქვამი იყო, რომ რეჟიმთან დაახლოებული ირანელები საქართველოში კომპანიებს აფუძნებდნენ, საქართველოს ხელისუფლებამ განაცხადა, ამ საქმეს გამოვიძიებო.

„გასულ კვირას კი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებამ კაპიტოლიუმზე განმარტებების შეტევა მიიტანა, სადაც ნათქვამი იყო, რომ თბილისი შეავიწროვებდა ირანელებს და ხაზი იყო გასმული ქვეყნის პროდასავლურ პოზიციებზე“, — წერს ბენუა ფუკონი.

სტატიის ავტორი ციტირებს საქართველოში გამომავალი სპარსულენოვანი ჟურნალის რედაქტორის, სარა ღაზის სიტყვებს, რომელიც აღნიშნავს, რომ რამდენიმე ირანელი უკვე გააბრუნეს უკან სომხეთის საზღვრიდან და საქართველოში შემოსვლის ნება არ მისცეს, ზოგიერთს კი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაუუქმეს რეზიდენტობა: **„ამასობაში კი, ირანელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ საქართველოსთან ურთიერთობების შენარჩუნება სურთ. თბილისში გამართულ ბიზნესკონფერენციაზე საქართველოში ირანის ელჩის მოადგილემ ქებრიაი ზადემ განაცხადა, რომ საქართველო კვლავაც მიმზიდველ ადგილად რჩება ინვესტიციებისთვის. კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე ტურიზმის თვალსაზრისით“.**

„ინტერპრესნიუსი“

საინგილო ჩვენი ტკივილია

მე-11 გვერდიდან

1952 წელს, კახის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე და გიგა ლორთქიფანიძის ჯგუფში მოვხვდი. ჩემს მეგობრებს პირობა მივეცი, რომ მსახიობად გახდომის შემდეგ აუცილებლად ჩამოვიდოდი. ეს პირობა შევასრულე და 1970 წელს, ჩემი ინიციატივით, რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „გვადი ბიგვა“ ჩავიტანეთ. ახლაც დიდი სიამოვნებით ჩამოვედი და ჩემი სკოლის პერიოდი გავიხსენე“.

სოფ. მეშამბაშის რესტავრირებული ეკლესია

პარალელურად, უამრავ დაფარულ პრობლემას წავაწყდით, რაც, ერთი შეხედვით, არ ჩანს. კახის ცენტრში გავლისას ახლად შეცვლილმა ღობეებმა და ჭიშკრებმა მიიქცია ჩვენი ყურადღება. აღმოჩნდა, რომ 10 წლის წინ შემუშავდა სახელმწიფო სტრატეგიული გეგმა და ქართული მოსახლეობისგან ეზოიანი სახლები, გაორმაგებულ ფასებში, აზერბაიჯანლებმა შეიძინეს. 1 კვ. მეტრში 5000 მანათი გადაიხადეს და ერთ მფლობელს 150.000 დოლარი მოუწია, რომლითაც თბილისში შეიძინეს ბინები. ასეთი „ცივილური“ მეთოდებით ცდილობს აზერბაიჯანის ხელისუფლება გავლენის მოპოვებას და, გასაკვირი არ არის, რომ სწორედ აქ აიშენა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა საზაფხულო რეზიდენცია.

არადა, გასული საუკუნის 50-80-იან წლებში აშკარა ბარბაროსულ მეთოდებს იყენებდნენ. გვითხრეს, რომ 1984 წელს, სოფელ კახ-ინგილოში ადგილობრივი განვითარების გეგმით კანალიზაციის გაყვანისას, რომან ტარტარაშვილის მრავალწლიანი ვენახი ტრაქტორით გადათელეს, რასაც პატრონის ინფარქტით გარდაცვალება მოჰყვა. ასევე, სოფლის გზების გაფართოების მიზეზით, ქართველების ეზოებზე გზებს ჭრიდნენ და ნაკვეთებს უნახევრებდნენ.

ქართულ სოფელ მეშაბაშში, 300-კაციანი ახალი სკოლა და ბაგა-ბაღი ააშენეს, სადაც 75 კომლი ცხოვრობს და სკოლაშიც 40 ბავშვი სწავლობს. საქმე ისაა, რომ სამომავლო გათვლით, სოფელ კახიდან 3 კილომეტრში მდებარეობს, საითკენაც გამრავლებული აზერბაიჯანული ოჯახები თანდათანობით მოიწევენ და უახლოეს მომავალში, ისინი დაიმკვიდრებენ ადგილს. ამ სტრატეგიაში ადვილად დავრწმუნდებით, როდესაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ სოფელ ალათემურის ქართულ სკოლას შევხედავთ. მასში 120 ბავშვი გაუსაძლის პირობებში სწავლობს. შენობაში წყალი ჩამოდის, სარემონტოა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს.

სოფელ ალიბეგლოში დიდი სარაიონო საავადმყოფო აშენდა, აზერბაიჯანელი ექიმების ჩასახლების პერსპექტივით. სკოლა კი უფრო ბოსელს წააგავს, სადაც იატაკი ჩავარდნილია. ავარიულ კულტურის სახლში კი ქართული სახელმწიფო თეატრია, რომლის მოძველებული სცენის განათების აპარატურა და დარბაზი ელემენტარულ პირობებსა და ესთეტიკურ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. თანაც სცენაზე წყალი ჩამოდის და სახურავიც შესაკეთებელია.

ასეთ მძიმე პირობებში უწევთ დასის წევრებს მუშაობა. სადღეისოდ დასში ირიცხებიან: რეჟისორი ვალიკო მალუმაშვილი, მსახიობები — ოფელია ანდრიაშვილი (გახსნის დღიდან), ლაშა ანდრიაშვილი, ბორის და გოჩა შიოშვილები, კოტე ბარიხაშვილი (80-იანი წლებიდან), ბესარიონ ჭაჭაშვილი, ლერი შიოშვილი, ვიტალი სუხაშვილი (2001 წლიდან), რაულ ბარიხაშვილი, მაყვალა ემრაშვილი, ლაშა ასლამაზიშვილი, ნონა და ნინო ჭაჭაშვილები (2005 წლიდან). რეპერტუარშია: თ. ფხაკაძის „გაფრენა“, დ. აწყურელის „ბერბიჭები“, ვ. გოგოლაშვილის „მშვიდობით სიყვარულო“, ტ. ბრანდონის „ჩარლის დეიდა“. დასი თვეში 5-6 სპექტაკლს თამაშობს და ქართულ სოფლებსაც ემსახურება. აზერბაიჯანის ხელისუფლების მიერ დაფინანსებულია მხოლოდ სახელფასო ფონდი, ხოლო სადადგმო ხარჯები გათვალისწინებული არ არის. აქვე მოქმედებს ცეკვის ანსამბლი „ფესვები“ (ხელმძღვანელები ელიკო ანდრიაშვილი და ლაშა ასლამაზიშვილი), რომელიც რეპეტიციებს ცეკვისთვის შეუფერებელ სცენაზე გადის.

კახის რაიონულ ცენტრში ქართული ანსამბლი „იმედი“ 15 წელია არსებობს. მისმა ხელმძღვანელმა მაყვალა ასლამაზიშვილმა გვითხრა, რომ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში განცხადება აქვს შეტანილი საცეკვაო კოსტუმების დაფინანსებისთვის და პასუხს იმედიანად ელის, თუმცა კონცერტების ჩასატარებელი ადგილი არა აქვთ, ამიტომ სურვილს გამოთქვამს, საქართველოს სკოლებთან თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების შესახებ. სიმღერის მასწავლებელი მაყვალა ჯანაშვილი-ფოლადაშვილი ქართული ხალხური ინსტრუმენტების არქონას განიცდის. გავიგეთ ისიც, რომ აზერბაიჯანის კულტურის სამინისტრო ქართველებს ბალანსიდან ბალანსზე გადასცემს კულტურის სახლისთვის გათვალისწინებულ შენობას, რომლის ხელშეკრულების გაფორმებასაც საქართველოს კულტურის სამინისტრო უკვე ერთი წელია გაურკვეველი მიზეზებით აყოვნებს. ყველასთვის ცნობილი ანსამბლი „ლაზარე“ კი თითქმის დაიშალა. შარშან ჩამოყალიბდა ანსამბლი „ჰერულა“ (ხელმძღვანელი ვასილ პაპიაშვილი), რომელსაც გასტროლები თბილისსა და რუსთავში ჰქონდა.

რთული ვითარებაა განათლების სფეროშიც. უკვე 5-6 წელია, სკოლის მოსწავლეებს წიგნები არ მიუღიათ და მოძველებული პროგრამით სწავლობენ. კახის ქართულ საშუალო სკოლაში ამჟამად 165 მოსწავლეა მაშინ, როდესაც გასული საუკუნის 80-იან წლებში 500 ბავშვი სწავლობდა. აქვე მდებარე ქართული რვაწლიანი სკოლა კი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ინტერნაციონალურ სკოლად გადააკეთა და, ქართულთან ერთად, რუსული და აზერბაიჯანული კლასები გახსნა.

წელს ქართული დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ „სიურპრიზი“ მოუწყო. მხოლოდ 24 მაისს აცნობა ქართულ სკოლებს, რომ მოსწავლეებს მათემატიკა რატომღაც აზერბაიჯანული ტესტებით უნდა ჩაებარებინათ, რომლის მოსამზადებლადაც დრო არ ეყოფოდათ, რადგან გამოცდები 17 ივნისს იწყებოდა. პროგრამები კი იმდენად განსხვავებულია, რომ შესაძლებელია, ბავშვები უატესტატოდ დარჩნენ. არსებობს შეთანხმება ორივე სახელმწიფოს განათლების სამინისტროებს შორის, რომ ქართული ენის გარდა, დანარჩენ სახელმძღვანელოებს აზერბაიჯანული მხარე დაბეჭდავდა, რაც მხოლოდ ერთხელ განხორციელდა და რასაც ქართული მხარე ყურადღებას არ აქცევს.

აზერბაიჯანული ხელისუფლების მიერ ქართული მოსახლეობის დისკრიმინაცია სხვა მხრივაც იგრძნობა. პოლიციასა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში მათ არ ასაქმებენ, ამიტომ ქართველებს მეტწილად მასწავლებლად მუშაობის პერსპექტივა აქვთ, ისიც თუ ბაქოში 2-3 ათას მანათ ქრთამს გადაიხდის. სხვა სამსახურის საშოვნელად 3-4 ათასი მანათია საჭირო, რაც ქართველებისთვის ხელმიუწვდომელია. კახში არც ერთ ქართველს მაღაზია არა აქვს და ამიტომ მეურნეობასა და მესაქონლეობას მისდევენ. ძირითადი შემოსავლის წყარო 300-მანათიანი პენსიაა, რომლის 500 მანათამდე გასაზრდელად 1500 მანათის ქრთამია საჭირო. მდგომარეობა საბაჟოზეც გართულდა. საზღვარზე ავტომანქანის გადაყვანის ვადა 1 წლიდან 15 დღემდე შემცირდა. ამასთანავე, საზღვრის გადმოკვეთისას დაზღვევის 40 ლარის ეკვივალენტის მანათს ახდევინებენ, თუმცა კანონმდებლობით, დაზღვევა ერთწლიანი უნდა იყოს. ეს კი იმისთვის კეთდება, რომ ქართველებმა მანქანები საქართველოდან არ შემოიყვანონ და გადაფორმებაც მანქანის ფასი ჯდება. ადვილი წარმოსადგენია, რა უჯდებათ ქართველებს მანქანის ყოველ ორ კვირაში საზღვარზე რეგისტრირება.

საინგილოში ორდღიანმა ვიზიტმა ბევრი პრობლემა დაგვანახა. გაცილებით მეტი ფაქტის მოძიება იქნება შესაძლებელი უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რასაც სამომავლოდ აუცილებლად შევეცდებით. ფაქტია, ახალმა ხელისუფლებამ მეტი ძალისხმევა, პრინციპულობა უნდა გამოიჩინოს საინგილოს ქართველობის მიმართ, რათა მათ სრულფასოვან მოქალაქეებად იგრძნონ თავი და სამშობლოსგან მიტოვებულები არ დარჩნენ.

სოფ. ალათემურის ქართული სკოლა



1. ტყის მსხალი
2.ცხიმის გაუმ-ტარი მკვრივი ქაღალდი
3. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
4. თვალსაჩი-ნო ადგილზე გამოკრული განცხადება
5. გეომეტრი-ული სხეული
6.გადაცემა ან პლაკატი მომ-ხმარებელთა მისაზიდად
7. წარსულში ცნობილი ბელო-რუსი ჩოგურ-თელი ქალი
8. დაბალი ხარისხის კონიაკი
9. მაგდანას ცხოველი
10. პა-ტარა ზარი
11. კრემიანი ნამცხვარი
12. კოსმეტი-კური ფირმა „ივ ...“
13. ცომში გასვეული ხორცის ფარში
14. ხმელეთის ყველაზე სწრა-ფი ცხოველი
15. „ტყუპი შოკო-ლადი“
16. ფრანგული საცხობების ქსელი თბილისში
17.აბესალო-მის და ფალიაშვილის ოპერაში
18. ცის-არტყელას ქალღმერთი
19. გერ-მანელი ფიზიკოსი
20. ძვ. საპერანგე აბრეშუმის ქსოვილი
21. თივის გროვა
22. ოთხიანი კამათელზე
23. ფუჭი, უშედეგო
24. პლატონ სამანიშვილის მამა
25. „მო-საწევი“ ნარკოტიკი
26.ნორვეგიის დედაქალაქის ძველი სახელ-წოდება
27. პე-ტრე I-ის დედის გვარი
28. ცხელი მატონი-ზირე-ბელი სასმელი
29. მადის ავადმყოფური მომატება
30.ყველაზე ტიტულოვანი ქართველი მოჭიდავე
31. ომის ღმერთი რომაულ მი-თოლოგიაში
32. მკვახე ყურძენი
33. ბალ-ახის ჩრდილი
34. აღ. ბასილაიას ანსამბლი
35. და-ცლილი ვაზნა
36. რუმი-ნეთის ფულის ერთეული
37. ძალიან პატარა მფრი-ნავი მწერი, მუმლი
38. საერთო წარმოშობის მქონე ადამიანთა ჯგუფი მსგავსი ნიშან-თვისებებით
39. წმინდანად შერაცხული არაბი ჭაბუკი
40. ქალაქი რუსეთში
41.აიდას მე-ტოქე ვერ-დის ოპერა „აიდაში“
42. ინ-დური კობრა
43. იპოლიტ ვორობიანინო-ვის მეტსახელი „12 სკამში“
44. ირლან-დიის რესპუბ-ლიკური არმია
45. აფრიკის სახელწოდება არაბულ ენაში
46. დედამიწის ატმოსფეროს ზედა ნაწილი
47. ძვ. ეგვიპ-ტის ფარაონი
48. ჩვილი ბავშვის საწოლი
49. ოქროს ან ვერცხლის ძაფი
50. ჯადოს-ნური თვალი, რომელსაც გველი ინახავს
51. მსახ-იობი ... ბერიმორი
52. ნახევარმთ-ვარის ფორმის ხრტილი მუხ-ლის სახსარში
53. მოკლე მუსიკალური მისალმება
54. ადამიანის კანის ერთ-ერთი შრე
55. ყოფილი ფრანგი ფეხ-ბურთელი
56. ზევსის დედა ბერძნულ მითოლოგიაში
57. ორად გაყოფილი სახელმწიფო აზიაში
58. მონ-ღოლი თავადი
59. კამერუნის დედაქალაქი
60. ხაჭაპურის ფორმის ხორციანი ღვეზელი
61. წი-წვოვანი მცენარე
62. ღვთაებრი-ვი მსხნელი
63. საბჭოთა ილუზიონის-ტთა დინასტია
64. ქართველ-თა წმინდანი
65. პირის ღრუს ზედა ნაწილი
66. თოვლის კაცი
67.კოლუმბის მშობლიური ქალაქი
68.წარსულში ცნობილი ფრანგი ჩოგ-ბურთელი
69.ამერიკელი მსახიობი ... დანაუელი
70. პრომე-თეს ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში
71.უძველესი ქალაქი ყირ-გიზეთში
72. ჩინ-ური ჰობოი
73. ამერ. მსახიობი ... პიტი
74.ბნიშ-ვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
75.პლა-ნეტა ურანის თანამგზავრი
76. ჯავშ-ნიანი ქვე-წარმავალი
77.ძალიან იშვიათი ნივთი
78. ძველ-ბერძნული სალიტერა-ტურო ენა
79. გათენე-ბა, გარიჟრაჟი
80. გადამდ-ნარი კარაქი
81. დანელიას ფილმი „... იდარდო“
82. მზის შუქი, რამე-ზე დამდგარი
83. მანონ ლესკოს სატრფო კავალერი დე ...
84. კარ-გი ამინდი
85. ტრადიციული სვანური ღვეზელი

დიდი მკერდი ქალებს სიცოცხლეს უმოკლებს

დიდი მკერდი ქალის სიცოცხლეს, დაახლოებით, 5 წლით ამოკლებს, — აცხადებენ გერმანელი მკვლევარები. მათი განცხადებით, სუსტი სქესის იმ წარმომადგენლებს, ვისაც დიდი მკერდი აქვს, უფრო ხშირად აწუხებთ თავის, სახსრების, ზურგის ტკივილი. გარდა ამისა, ისინი სტანდარტული ზომის მკერდის მქონე ქალებთან შედარებით, უფრო ხშირად ავადდებიან დიაბეტით და ჭარბი წონის პრობლემაც აწუხებთ. გამოკვლევისას გერმანელმა სწავლულებმა რამდენიმე ექსპერიმენტი და სტატისტიკური მონაცემები გამოიყენეს. დასკვნის მიხედვით, გასული საუკუნის 50-იან წლებში, ქალის მკერდის საშუალო ზომა 2 იყო, ახლა კი 3-მდე გაიზარდა.

ჰოროსკოპი
5 ივლისი

ვერძი — პრობლემებმა, შესაძლოა, ხელი შეგიშალონ კარიერულ წინსვლაში. არსებულ ვითარებაში მოგიწევთ არჩევანის გაკეთება ოჯახის ან ჯანმრთელობის სასარგებლოდ. თუმცა, გულს ნუ გაიტეხთ, მომავალში ყველაფერს სწრაფად აინაზღაურებთ. დაწინაურება გელით სამსახურშიც.

კურო — ვარსკვლავები კუროებს ურჩევენ, იმოჯი შეიცვალონ. ეს უფრო მეტ შარმსა და მომხიბვლელობას შეგძენთ და გარშემომყოფთა ინტერესს სფეროშიც აღმოჩნდებით.

ტყუპები — ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი ისე შეგიპერობთ, რომ შესაძლოა, ბევრ უსიამოვნებას გადაეყაროთ, ამიტომ იკმარეთ ის, რაც დღეს რეალურად გაქვთ.

კირჩხიბი — ნუ ეცდებით გარშემომყოფების მოხიბვლას, დროთა განმავლობაში უკეთ გაგიცნობენ და თავად შეექმნებათ თქვენზე წარმოდგენა. მანამდე კი სჯობს, ზედმეტი აქტიურობისგან თავი შეიკავოთ და რეპუტაცია არ შეელახოთ.

ლომი — დღეს ძალიან ცნობისმოყვარე ხართ და სასურველი ინფორმაციის მისაღებად ჯორების გავრცელებასაც არ მოერიდებით, თუმცა ფრთხილად იყავით, ახლობლებთან ამის გამო ურთიერთობა არ გაიფუჭოთ.

ქალწული — ისარგებლეთ თავისუფალი დროით, რათა პირადი ჩანაფიქრი განახორციელოთ და ის საქმეები მოაგვაროთ, რომლისთვისაც ადრე დრო არ გეოფნიდათ. მიღწეული შედეგები კი ძალიან გაგახარებთ. გაჩნდება სამსახურში დაწინაურების პერსპექტივაც.

სასწორი — დილიდან ძალების მოზღვავებას იგრძნობთ, რაც საშუალებას მოგცემთ, დაგეგმილი განახორციელოთ. ვარსკვლავები გირჩევენ, ფული გონივრულად ხარჯოთ, ბევრს ნუ გაფლანგავთ გართობაზე.

ღრიანცალი — თუ საქმეში ბოლომდე ვერ გარკვეულხართ, რჩევა ჰკითხეთ კომპეტენტურ პირებს. კითხვის დასმა სირცხვილი არ არის, სირცხვილი უფრო შეცდომის დაშვებაა.

მშვილდოსანი — დღეს უურადღებით მოეკიდეთ სამსახურის საქმეებს. პატარა შეცდომამაც კი, შესაძლოა, მთელი დღის ნაწვალები წყალში ჩაგიყაროთ, ამიტომ კონსულტაცია გამოცდილი და კომპეტენტური კოლეგებისგან აიღეთ.

თხის რქა — თუ გგონიათ, რომ ამოწურეთ თქვენი შესაძლებლობები, ძალიან ცდებით. სრული წარმატებისთვის ჯერ საფინალო აკორდი გაქვთ შესასრულებელი.

მერწყული — დღეს ვარსკვლავები არნახულ წარმატებას უწინასწარმეტყველებენ ამ მერწუულებს, ვისაც საკუთარი ბიზნესი აქვს. სამსახურში დაწინაურება გელით ან ხელფასს მოგიმატებენ, ანდა თქვენს მოთხოვნებს გათვალისწინებენ.

თევზები — შედარებით მშვიდი ატმოსფერო სამსახურში, შესაძლოა, მოულოდნელი და არც თუ სასიამოვნო ინფორმაციით დაირღვეს. დიდია ალბათობა, რომ მივლინებაში სხვა ქალაქში მიგავლინონ. ეს სიახლე არ შედიოდა არც თქვენი და არც თქვენი ოჯახის გეგმებში, ამიტომ ეს ამბავი შთ არ მოეწონებათ.

„მათემატიკურად ლამაზი" სახე აღმოაჩინეს

ბრიტანელმა მეცნიერებმა დაასახელეს გოგონა, რომელიც შეიძლება სილამაზის ნამდვილ ეტალონად ჩაითვალოს. ეს 18 წლის ფლორენს კოლგეიტია, რომელიც პატარა რესტორანში მუშაობს. ფლორენსმა ეროვნულ კონკურსზე „ბრიტანეთის ყველაზე ლამაზი სახე" საკუთარი ფოტო გააგზავნა და, მისდა გასაოცრად, გაიმარჯვა კიდეც. აქ ბუნებრივი სილამაზე იყო საჭირო და ისეთი ფოტო უნდა გამეგზავნა, სადაც კოსმეტიკის გარეშე ვიქნებოდი, — აცხადებს ფლორენსი. ის 8 ათასი პრეტენდენტიდან საუკეთესო ხუთეულში მოხვდა და, საბოლოოდ, გამარჯვებულადაც გამოცხადდა. მკვლევარები, რომლებიც მომხიბვლელობის ფენომენს სწავლობენ, ამბობენ, რომ იდეალურ სახეზე გუგებს შორის მანძილი სახის სიგანის (ყურიდან ყურამდე) 46%-ს უნდა შეადგენდეს. ფლორენსთან ეს მაჩვენებელი 44% აღმოჩნდა. თვალებსა და პირს შორის მანძილი მთელი სახის სიგრძის მესამედს უნდა შეადგენდეს. ფლორენსთან 32,8%-ია. მას დიდი თვალები აქვს, გრძელი ღაწვები, სავსე ტუჩები, ღია კანისფერი და, რაც მთავარია, სახის ნაკვთები აბსოლუტურად სიმეტრიული აქვს, — აღნიშნავენ სპეციალისტები. ყველაზე ლამაზი გოგონას ფოტოები მალე მთელ ბრიტანეთში, Superdrug მაღაზიების ვიტრინებზე გამოჩნდება. ფლორენსი იმედოვნებს, რომ ამის შემდეგ მას სამოდელო სააგენტოებიც შეეხმიანებიან.

ვიტამინების „საწყობი" კარტოფილია

ახალი გამოკვლევის შედეგად, ბრიტანელმა სწავლულებმა გაარკვიეს, რომ კარტოფილი დიდი რაოდენობით საკვებ ნივთიერებებს, ვიტამინებსა და მინერალებს შეიცავს და ორგანიზმისთვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე დიეტოლოგების მიერ რეკომენდებული ჭარხალი, ბროკოლი, ბანანი, ნიგოზი და ავოკადო. სპეციალისტებმა კარტოფილს ყველაზე იაფი და სასარგებლო დიეტური პროდუქტი უწოდეს და ამ ბოსტნეულის მოხმარებას დღეში ორჯერ გვირჩევენ, რაც ხელს შეუწყობს სისხლის წნევის დარეგულირებას და წონაში მომატებას არ იწვევს. კანიანად მოხარშული კარტოფილი ხუთჯერ მეტ უჯრედისს შეიცავს, ვიდრე საშუალო ბანანი და სამჯერ მეტ „ცე"-ვიტამინს, ვიდრე ავოკადო. მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ მასში უფრო მეტი სელენია, ვიდრე ნიგოზსა და მზესუმზირაში. ამ ბოსტნეულის რეგულარული მოხმარება ონკოლოგიური დაავადებების წინააღმდეგ პროფილაქტიკური საშუალებაა. გარდა ამისა, ადამიანმა შეიძლება უარი თქვას სხვადასხვა ვიტამინების კომპლექსზე, თუკი კარტოფილი მის ყოველდღიურ რაციონში შედის — ის ორგანიზმს მიკროელემენტების საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფს.



ყავა კაცების ინტელექტს აქვეითებს

ინგლისელმა ფსიქოლოგებმა, ფინჯანი ყავის დალევამდე და მის შემდეგ, ქალისა და მამაკაცის ქცევებს შორის განსხვავება დაამტკიცეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს გამამხნევებელი სასმელი საშუალებას აძლევდათ, სტრესულ მდგომარეობაში ოპერატიულად და ეფექტურად ემოქმედათ, მამაკაცებს კი პირიქით, ყავა ხელს უშლიდათ, ეფიქრათ ლოგიკურად, მიეღოთ სწრაფი და სწორი გადაწყვეტილებები. სპეციალისტებმა ექსპერიმენტში 64 მოხალისე მიიწვიეს, ისინი 32 წყვილად დაყვეს. თითოეულ ადამიანს ოთხი ტესტი ელოდა. მანამდე კი მათგან 16 წყვილს ფინჯანი ყავა დაალევინეს, დანარჩენმა მოხალისეებმა კი უკოფეინო სასმელი მიიღეს. კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ ყავის გავლენით ქალებმა შეძლეს, დავალებას 100 წამით ადრე გამკლავებოდნენ. რაც შეეხება კაცებს, კოფეინმიღებულთა რეაქცია სხვებისას 20 წამით ჩამორჩებოდა, მეხსიერების ტესტში კი სრული ჩავარდნა ჰქონდათ. ამგვარად, სწავლულებმა დაამტკიცეს, რომ ყავის დალევა ადუნებს მამაკაცის ინტელექტს. სუსტი სქესის წარმომადგენლებისთვის კი ეს სასმელი სასარგებლოა: ვინც დღეში 2-3 ფინჯანს მიირთმევს, მათ 15%-ით ნაკლებად უტევთ დეპრესია, ვიდრე იმ ქალებს, ვინც იშვიათად სვამს ან საერთოდ არ ეკარება ყავას.

პოზიციური აზროვნება დეპრესიას იწვევს

კანადელმა ფსიქოლოგებმა დასავლეთში მიღებული პოზიტიური აზროვნების მეთოდი გააკრიტიკეს და დაამტკიცეს, რომ ყოველთვის იმის მცდელობა, ყველაფერში კარგი დაინახო, დეპრესიას იწვევს. ასეთი დასკვნა სწავლულებმა 70 სტუდენტის ტესტირების შედეგად გააკეთეს. ექსპერიმენტში მონაწილეები ორ ჯგუფად დაყვეს და 5 წუთის განმავლობაში, საკუთარი ემოციებისა და აზრების დაფიქსირება სთხოვეს. ამასთან, ერთ ჯგუფში 15-წამიანი ინტერვალით მონაწილეებს ხმამაღლა უნდა ეთქვათ — მე ყველაზე მომხიბვლელი ვარ! ამ სეანსების შემდეგ აღმოჩნდა, რომ საკუთარი თავის მაქებარი ადამიანები გაცილებით უფრო ცუდ განწყობაზე იყვნენ, ვიდრე დანარჩენი მონაწილეები. ამ შემთხვევაში დადებით ემოციებზე დაყრდნობა დათვური სამსახური აღმოჩნდა — როცა ადამიანს ესმის ის, რაც მის რწმენას ეწინააღმდეგება, ცნობიერება თვითშეფასების განმეორებით პროცესს იწყებს, რის შედეგადაც ადამიანი უფრო იმედგაცრუებული რჩება, — ასკვნიან კანადელი მეცნიერები.

ჰოროსკოპი
6 ივლისი

ვერძი — დღევანდელი დღე პოზიტიურ ფერებში დახატეთ. ამასთან, თუ შემოქმედი ადამიანი ხართ, განახორციელეთ ახალი იდეები. თუ ამისთვის დღეს არ გცალიათ, ეს სამომავლოდ მოიინიშნეთ.

კურო — დღეს განსაკუთრებით მზრუნველი და მოსიყვარულე იქნებით. ორი ვარიანტი გაქვთ: ან გამოუტუდეთ საყვარელ ადამიანს გრძნობებში და ბედნიერად განაგრძოთ ურთიერთობა ან ჩუმად გაეცალოთ და იტანჯოთ მარტოობაში.

ტყუპები — დღეს ისეთი ენერგიული ხართ, ნებისმიერს დაასაქმებთ, ვინც კი თქვენს გარშემოა. თავადაც კარგად დაიღლებით და არც სხვებს მისცემთ მოდუნების საშუალებას.

კირჩხიბი — შეეცადეთ, დღეს ისეთ ადამიანებთან გქონდეთ ურთიერთობა, ვინც სიამოვნებას განაჭებთ. კოლეგებთან საუბარში, შესაძლოა, ორიგინალური იდეები ჩამოაყალიბოთ, რაც მომავალში წარმატებით განხორციელდება.

ლომი — დღეს გაცნობილ ადამიანს დიდი ხნის მეგობარივით მოექეცით და გამორიცხული არ არის, რომ ეს პიროვნება მომავალში მართლაც თქვენი კარგი ახლობელი გახდეს.

ქალწული — ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. თქვენმა ნათქვამმა დაუფიქრებელმა სიტყვამ, შესაძლოა, მათთან ურთიერთობა გაგიფუჭოთ, ამიტომ ნუ გარისკავთ.

სასწორი — რაც უფრო მეტს იმუშავებთ, მით ნაკლები დრო დაგრჩებათ გარშემომყოფთა ნერვების მოსაშლელად. გულმოდგინედ მიუდექით საქმეს და სადამოს დამსახურებული დასვენებისთვის მოემზადეთ.

ღრიანცალი — დღეს შეგიძლიათ, მშვიდად გაპუტეთ დინებას. სჯობს, ყველაფერს თვალი შორიდან ადევნოთ და თან მნიშვნელოვან საქმესაც არ მოცდეთ.

მშვილდოსანი — დღეს უფრო მეტი დაისვენეთ. შეადგინეთ საქმის სამოქმედო გეგმა, განიხილეთ, მაგრამ მის დაწყებას დღეს ნუ იჩქარებთ.

თხის რქა — ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს მარტო არ დარჩეთ. უმნიშვნელო საკითხიც კი კოლეგებთან ერთად განიხილეთ. სადამოს კი მეგობრებთან ერთად იმხიარულეთ და სასიამოვნო ემოციებით დაიმუხტეთ.

მერწყული — ბედნიერების საძებნელად ცხრა მთას იქით ნუ გაეშართებით. ის თქვენს გვერდით არის, ერთი ხელის გაწვდენაზე და დროს ნუ დაკარგავთ.

თევზები — იცოდეთ, რომ ოჯახის წევრები გასაჭირში არ მიგატოვებენ. თქვენც, შეძლებისდაგვარად, მეტი დრო გაატარეთ ოჯახურ გარემოში, რაც სიმშვიდესა და ჰარმონიას მოგანიჭებთ.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

						4	3	
			4	2	3	5		
				1	8	2		
6						8	5	7
				5				
8	5	4						9
		5	6	3				
		2	5	8	1			
	6	9						

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

				2		9		
	1		4					
8			9	6				1
2	6	1					7	
		5	8		6	2		
	4					5	9	6
6				3	2			8
					9		6	
		2		4				

ᲠᲗᲣᲚᲘ

	8				2	1		
					6	7	4	
	2				4	8		6
	9							
6			2	5	1			9
							7	
3		2	4				5	
	6	9	8					
		8	1				6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

5			6			9	8	
6		9						
		2	4		9			6
		3					2	
4	6			3			7	5
	8					6		
9			3		1	2		
						1		8
	2	6			5			3

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲕᲔᲠᲫᲘ — დღევანდელ დღეს იუპვეთ ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხართ. ბოლოს და ბოლოს, თქვენ სრულიად განსაცარი ადამიანი ხართ, ასეთი სხვა არ არსებობს. რაიმე იმიჯის შექმნის აუცილებლობის არარსებობა მხოლოდ შეგმატებთ მომხიბვლელობას.

ᲙᲣᲠᲠᲝ — როგორც ჩანს. დადგა დრო, დიდი ხნის გადადებული პრობლემა აუცილებლად მოაგვაროთ. უველაზე ძარტივი და სწორფი მეთოდია „არას“ თქმა. თუმცა, მდგომარეობიდან ასეთი გამოსავალი ეოველთვის არ არის გამართლებული შედეგებით.

ᲪᲣᲪᲥᲔᲑᲘ — ტეუუპებს დღეს დიდი სურვილი აქვთ, უველაფერი შეცვალონ, მაგრამ ამით მხოლოდ საბოლოოდ გაიფუჭებენ ვითარებას. სჯობს, სურვილები დაიოკოთ და დღე ჩვეულ საქმიანობაში გაატაროთ. საღამოს კი მეგობრებთან გართობაც არ გაწეუნდათ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — დღეს თქვენი თავისუფლება, ასე თუ ისე, შეიზღუდება. თუ საკუთარი თავი მიიმწეუდიეთ კუთხეში, იქიდან მის „გამოთრევასაც“ შეძლებთ. მხოლოდ გააკეთეთ ისე, რომ თქვენი ხმა ეველასთვის გასაგონი იეოს.

ᲚᲝᲛᲘ — ლომებს დღეს დიდი ცნობისმოეარეობა შეიპერობს, ამიტომ სჯობს, ის რაიმე მარტივი მეთოდით დაიკმაეოფილოთ — მაგალითად, წიგნით. ჭორების აკრეფა და მისი გავრცელება ნეგატიურად აისახება ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობაზე.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — დღეს თქვენი ჯერია, სხვის ნერვებზე ითამაშოთ. ისარგებლებთ თუ არა ამ შესაძლებლობით, ეს უკვე თქვენი გადასაწეეტია.

ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ — დღეს შესაძლოა, დიდი ძალისხმევა დაგჭირდეთ სტრესთან საბრძოლველად, რაც იმედების გაცრუებით არის გამოწვეული. გაცილებით ადვილია და უკეთესიც იქნება, უველაფერი ძველებურად დატოვოთ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲘᲙᲘ — ნიშნის წარმომადგენლები, შესაძლოა თვლიდნენ, რომ უველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ. თუმცა, დღეს გაქვთ შანსი, პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი შტრიხი შეიტანოთ საქმიანობაში, რაც თქვენი შრომის შედეგს დახვეწილობას შემატებს და დასრულებულ სახეს მისცემს.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲓᲝᲡᲐᲜᲘ — ის ჯაობი, რომელშიც აქამდე ჩაფლული იუპვეთ, უკვე სიმპათიურ ნაკადულად გეჩვენებათ, რომელსაც მეარი ნაპირები აქვს. ამოდით წყლიდან, გაშრით და... იქნებ, წინ ისევ ჯაობი გელოდებათ?

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — დღეს მაქსიმალურად ფრთხილი უნდა იეოთ ფინანსებთან. სჯობს, ასეთი საქმეები საერთოდაც სხვა დროისთვის გადადოთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ — დღეს თქვენს მიმართ უველა ისეთი დამთმობი იქნება, რომ ეჯვი გაგიჩნდებათ, ეს ცუდის მანიშნებელი ხომ არ არის. ტეუილად ნერვიულობთ, სჯობს, მომენტით ისარგებლოთ, ვიდრე არ გადაუფიქრებიათ.

ᲗᲔᲕᲖᲘ — დღეს უველა შანსი გაქვთ, რომ საქმიან ან იურიდიულ გაურკვევლობაში მოხვდეთ. დასვით რაც შეიძლება მეტი კითხვა — გაურკვეველმა დეტალმა, შესაძლოა, ცუდი სასასხური გაგიწიოთ.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ
ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

მე-14 გვერდი: 1. შერვუდი; 2. ბარიკადა; 3. შოლოხოვი; 4. რენტა; 5. ურეკი; 6. „რევიზორი“; 7. კედარი; 8. დაცანი; 9. პლანშე; 10. რუანდა; 11. შასლა; 12. ვადუცი; 13. ინდულგენცია; 14. იმედი; 15. ხრეში; 16. ლორდოზი; 17. იამბი; 18. ზარინი; 19. შოუ; 20. დეგუსტაცია; 21. მინი; 22. ვალსი; 23. ინკრუსტაცია; 24. ინოლა; 25. დრამი; 26. აიკიდო; 27. მიქელანჯელო; 28. ოჩოპინტრე; 29. უპე; 30. დრუიდი; 31. დარი; 32. აიაჩო; 33. გუგა; 34. არარატი; 35. კრეზი; 36. ირბისი; 37. ქიმი; 38. კუპერი; 39. კერპი; 40. სენა; 41. უტა; 42. ლოუ; 43. ლიბერია; 44. შაორი; 45. ცრუ; 46. გვარდიოლა; 47. ლეტიცია; 48. დაშნა; 49. ტომი; 50. „ელი“; 51. დონატი; 52. ცვატა; 53. ჯორა; 54. „ია“; 55. ეოსი; 56. სიტე; 57. ტენესი; 58. კლიტე; 59. მერე; 60. ერა; 61. ურალი; 62. ასია; 63. ამიამი; 64. დოჟი; 65. ცომი; 66. ტაო; 67. მენელაე; 68. იდო; 69. სიესტა; 70. ციცერო; 71. ცული; 72. ნადი; 73. ნოე; 74. იშტა; 75. დუ; 76. კერკ; 77. ინსი; 78. პო; 79. ლუი; 80. ეპიორნისი; 81. უხა; 82. ანარა; 83. იურე; 84. პაი.

მე-16 გვერდი: 1. ოქსიგენიუმ; 2. კონჩალოვსკი; 3. ბებია; 4. ოზმა; 5. კალეიდოსკოპი; 6. გიბრალტარი;'7. ნერუ; 8. კენზო; 9. ოლიფა; 10. პოლ; 11. ფინია; 12. პონი; 13. ბარაკ ობამა; 14. ყაისნაღი; 15. „ნისანი“; 16. „აცტეკა“; 17. თია; 18. ურა; 19. ყბაჩა; 20. სან; 21. ალათაუ; 22. ვადუცი; 23. შალი; 24. ლამარია; 25. ალთაი; 26. ნატაშა; 27. ინფოლიო; 28. „ფორბსი“; 29. კალა; 30. „აფონია“; 31. დრაცენა; 32. ალიგოტე; 33. კალია; 34. ფა; 35. ბარბეკიუ; 36. ტირე; 37. რაული; 38. კოღო; 39. პართია; 40. ეფა; 41. ნევა; 42. მინდანაო; 43. სპიტაკი; 44. რა; 45. ანი; 46. ობი; 47. ეიგე; 48 ფილა; 49. ლიბრი; 50. კურარე; 51. უტ; 52. იო; 53. „ოროველა“; 54. ფინტი; 55. თოლია; 56. რვა; 57. პალაუ; 58. ვია; 59. „კოროლა“; 60. ნარდი; 61. ეკი; 62. ფერაძე; 63. ივ; 64. კლეოპატრა.

ᲐᲕᲢᲝᲛᲐᲢᲔᲑᲘ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲧᲘᲓᲘᲐᲜ

იერუსალიმის ავტობუსების ახალ სადგურზე ავტომატები დადგეს, რომელიც ჩიფსის, ორცხობილასა და სხვა ტკბილეულის ნაცვლად, რელიგიურ ბუკლეტებს ყიდის. 15 შეკელად ნებისმიერ მსურველს შეუძლია ებრაული სიბრძნის ნაწილი მიიღოს — ამონარიდები თორადან და სხვა რელიგიური წიგნებიდან. ავტომატები კომპანია „მეოროტმა“ დაამონტაჟა და, როგორც ამ სავაჭრო დაწესებულების ხელმძღვანელი აცხადებს, მისი მიზანი თორას შესწავლის წახალისებაა, ასევე მგზავრების მიერ დროის პროდუქტიულად გამოყენება. როგორც ამტკიცებენ, ავტომატებით თვეში ასობით ბუკლეტი იყიდება, ამიტომ კომპანიამ გადაწყვიტა, „სულიერი საკვები“ ბენ-გურიონის საერთაშორისო აეროპორტსა და სხვა მსხვილ სავაჭრო ცენტრებშიც განათავსოს.

ᲕᲔᲒᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘ“ ᲨᲔᲥᲛᲜᲔᲡ

გერმანელმა მეცნიერებმა ფრაუნგოფერის ინსტიტუტიდან აღმოჩენა გააკეთეს, რაც ალბათ დიდი საჩუქარი იქნება ვეგეტარიანელებისთვის. სპეციალისტებმა შეძლეს „ბოსტნეულის ხორცის“ შექმნა, რომელიც გემოთი ისეთივეა, როგორც ნამდვილი პროდუქტი, მაგრამ ის არ შეიცავს ტრანს-ცხიმებს, რაც სერიოზულ ზიანს აყენებს ადამიანს. ახალი პროდუქტის შემადგენლობაში შედის მხოლოდ და მხოლოდ ბოსტნეული ინგრედიენტები. მწარმოებლები აპირებენ, მასობრივად დაამზადონ ეს „ფსევდო-ხორცი“ და ნებისმიერ მსურველს შესაძლებლობა ექნება, ის ადგილობრივ მაღაზიებში შეიძინოს. გერმანელი სწავლულები ბოსტნეულის ხორცის რეცეპტს არ ახმაურებენ. მათი თქმით, ახალი პროდუქტის თერმული დამუშავება შესაძლებელია და ეს მის გემობრივ თვისებებს არ შეცვლის. სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ მათი „ნოუ-ჰაუ“ ევროპის მცხოვრებლებს მოეწონებათ, ვისაც აქვს სურვილი, ვეგეტარიანელი იყოს, მაგრამ ამავე დროს, ნატურალური ხორცის მოხმარებაზე, მისი სიყვარულის გამო, უარს ვერ ამბობს.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

„ლიბერთი ბანკი“ — ერთადერთი, ინოვაციური ბანკი საქართველოში

ლიბერთი ბანკმა და პირველმა Start-up ინკუბატორმა საქართველოში — Smartex-მა, ღია ცისქვეშ, ბარში — Vitamin, Digital Summer 2013-ს უმასპინძლეს. ბანკმა თავის კლიენტებს, პარტნიორებსა და მედიას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა გასულ წელს განხორციელებული პროექტების, მიღწევებისა და სიახლეების შესახებ.

2013 წლის დასაწყისში, 6 ახალი პროდუქტი და მომსახურება დაინერგა, აეწყო საქმიანი ურთიერთობები პარტნიორებთან მეზობელ ქვეყნებში, განხორციელდა ერთი ახალი ინვესტიცია საქართველოში და სამი — ევროპასა და აშშ-ში. Digital Summer-ზე, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ლიბერთი ბანკი ერთადერთი ბანკია საქართველოში, რომელიც მაღალი ინოვაციურობით გამოირჩევა. თუ ბაზარზე მოქმედი დანარჩენი ბანკების უმრავლესობა კარგად გამოცდილ, ტრადიციულ სერვისებს ნერგავს და განვითარების ისეთ გზას ირჩევს, რაც ნაკლებ რისკს შეიცავს, ლიბერთი ბანკი არ ერიდება, რომ დამოუკიდებლად შეიმუშაოს და დანერგოს ახალი სერვისები.

ბანკის მიერ დანერგილი ახალი სერვისებია: ელექტრონული საფულე e-Money, რომელმაც უკვე ააწყო სისტემა მსგავს სომხურ iDram-თან. შედეგად, ორი ქვეყნის კუპიურების კონვერტირება მარტივადაა შესაძლებელი. ასევე 480 000 Pay ბარათი, რომლებიც პარტნიორმა კომპანიებმა შეიძლება თავიანთი ბრენდინგით შეუკვეთონ და დამატებითი სერვისებითაც ისარგებლონ.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ლიბერთი ბანკის ინოვაციურობას უსვამს ხაზს, ჩინური Union Pay და ევროპული Pay Fair სისტემებში ჩართულობაა. ლიბერთი ბანკს უკვე აქვს ევროპული ბარათების ბეჭდვის ლიცენზია, ხოლო ჩინურ სისტემაში ამ ეტაპზე ბანკომატებით უკვე ჩართულია. პარალელურად, ლიბერთი ბანკს გამოშვებული აქვს 1 700 000 VISA/MasterCard ბარათი. საინტერესოა ისიც, რომ მაგალითად, Transferwise-მა, რომლის წარმომადგენელიც „სკაიპიდან“ პირდაპირ ეთერში ჩაერთო და ღონისძიებაზე ყველა დამსწრის თვალწინ განახორციელა ელექტრონული გადმორიცხვის სწრაფი სერვისის დემონსტრირება, თვითონვე შესთავაზა ლიბერთი ბანკს და Smartex ჯგუფს თანამშრომლობა. კონკურენცია მაღალი იყო.

„ის, რომ Smartex-ს იწვევენ PayPal-ის დამფუძნებელ და Facebook-ის პირველ ინვესტორ კომპანიებთან ერთად, ალბათ, სწორედ მის წარმატებაზე მიუთითებს“, — აღნიშნა ლიბერთი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ლადო გურგენიძემ.

ლიბერთი ბანკი დიდ ყურადღებას უთმობს ონლაინმომსახურების განვითარებასაც. მაგალითად, იმისთვის რომ სესხი მიიღოთ, შეგიძლიათ საერთოდ არ მიხვიდეთ ბანკში და სახლიდან გაუსვლელად შეავსოთ მარტივი ელექტრონული ფორმა. საინტერესოა ისიც, რომ ელექტრონულად შეგიძლიათ მიიღოთ არა მხოლოდ სამომხმარებლო სესხი, არამედ ისარგებლოთ ონლაინგანვადებითაც, როდესაც სახლიდან გაუსვლელად შეძლებთ საბანკო განვადებით პროდუქტის შეძენას. ეს სისტემა კი საქართველოში პირველად დაინერგა.

გარდა ამისა, ლიბერთი ბანკი თავის კლიენტებსა და პარტნიორებს, საქართველოში ერთადერთ დემოკრატიული ტიპის მობილურ ბანკინგს SmartPay სთავაზობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველას, ვინც „მაგთის“ ქსელშია ჩართული, შეუძლია გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, გადარიცხოს თანხები, განახორციელოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია და ეს ყველაფერი უახლესი სმარტფონის გარეშე. ლიბერთი ბანკის დახმარებით, ყველა ამ ოპერაციას 7-8 წლის წინანდელი მობილური ტელეფონიც წარმატებით გაართმევს თავს.

სულ მალე, ლიბერთი ბანკი ბოლომდე გამართავს Facebook-ში ჩაშენებულ PayStore ბეტა ვერსიას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება, როგორც პროდუქციის ატვირთვა, ასევე — ფულის გადახდა და მიღებაც.

შენდემა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

მსუქნებს მეტროში ცალკე დაჯდომენ

მათთვის, ვისაც ჭარბი წონის პრობლემა აწუხებთ, ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუს მეტროში, სპეციალური სავარძლები დაამონტაჟეს. ახალი ცისფერი სკამები ორჯერ განიერია ჩვეულებრივზე და 255 კილოგრამამდე დატვირთვას უძლებს. სავარძლის საზურგეზე მოთავსებულია წარწერა: ადგილი, პირველ რიგში, მსუქნებისთვის არის გათვალისწინებული. ამ იდეის ავტორების მოსაზრებით, ეს ღონისძიება ჭარბი წონის ადამიანებს უბიძგებთ, საზოგადოებრივი ტრანსპორტით ისარგებლონ, თუმცა სატრანსპორტო კომპანიების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ ცისფერი სკამების გამოჩენამ მგზავრები შოკში ჩააგდო — მათ რცხვენიათ, განსაკუთრებული პროპორციების სკამებით ისარგებლონ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.